# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 14 სექტემბერი. 2016 წ. №171 (8063), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## შემირცხვენია ყველა, ვინც „ნაცსექტის“ მეხოტბე, მხარდამჭერი და მიმდევარია!




3

### არჩევნები ახლოვდება

## კედელს შეყრილი ცერცვი...

4



### გიორგი კვირიკაშვილი:

## საქართველო გახდება მართლაც თანამედროვე ქვეყანა, სადაც ყველა ოჯახში მივა კეთილდღეობა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ქედის მოსახლეობას შეხვდა, სადაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში – ანზორ ბოლქვაძე და ხვიჩა შარაშიძე წარადგინა.**

პრემიერმა გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე დეტალურად ისაუბრა, ასევე განსაკუთრებით აღნიშნა კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომელიც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მასწავლებლებისთვის, ექიმებისთვის, ექთნებისთვის და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის შეღავათებს ითვალისწინებს.

**„ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს, რომელმაც არ დაუჭირა მხარი მთის კანონს, ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს მორალური უფლება, რომ თუნდაც აჭარის მაღალმთიანეთში ითხოვოს მხარდაჭერა“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მომავალი 4 წელი განვითარების გეგმებით გაცილებით საინტერესო და დატვირთული იქნება. როგორც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, ფუნდამენტური რეფორმები იგეგმება, განათლების სისტემაში, მმართველობასა და ინფრასტრუქტურაში.

**„პედაგოგი საქართველოში უნდა იყოს გაცილებით უფრო დაფასებული. მაშინ, როდესაც საქართველოს ძალიან უჭირდა, როდესაც ბავშვები მთიან რეგიონებში, სოფლიდან სოფლად ფეხით მიდიოდნენ სკოლაში, ჩვენი მასწავლებლები, თავიანთ მოწაფეებთან ერთად, აი ამ გაჭირვებში უზრუნველყოფდნენ განათლების უწყვეტობას. არ შეიძლება, მათ ეს არ დავუფასოთ. სწორედ ამიტომ, ჩვენ დავნიშნეთ მაღალმთიან სოფლებში ავტობუსები, რათა ბავშვებმა ფეხით აღარ იარონ სკოლებში. სწორედ ამიტომ, ჩვენ, მომავალი წლიდან, ვზრდით მასწავლებლის ხელფასს და საშუალო ხელფასი 800 ლარი გახდება საქართველოში. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავსინჯავთ უმაღლესი განათლების პრიორიტეტებს და ჩვენი ახალგაზრდები აღარ ისწავლიან იმ პროფესიების მიმართულებით, რომლებიც ნაკლებად საჭიროა და შეისწავლიან იმ პროფესიებს, რომლებიც უფრო მეტად არის საჭირო საქართველოში“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ფიზიკური რეალობის შემცვლელ პროგრამას უწოდებს მთავრობის მეთაური ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთა განხორციელება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იგეგმება.

იხ. 2 გვ.

### ზურაბ ბიგვავა:

4

## ხომ არ გადაიქცევიან ახალ ნაცმოძრაობად?

### ნუკრი ქანთარია:

## პაატა ბურჭულაძემ იხმარა და გადააგდო ეს ხალხი



5

### რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...



6

## დოლარები, მროკავები და პირდაფჩენილი „მაყურებელი“

## ქართული თეატრის ენციკლოპედია



ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს!



8

როსტომ ჩხეიძე

5



## ბარათები – გზა ისტორიული პანორამისაკენ




## გიორგი კვირიკაშვილი:

# საქართველო გახდება მართლაც თანამედროვე ქვეყანა, სადაც ყველა ოჯახში მივა კეთილდღეობა

(პირველი გვერდიდან)

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ამ პერიოდში, ყველა მნიშვნელოვანი მაგისტრალი, როგორც ავტობანები, ასევე ტურისტული და რეგიონებთან დამაკავშირებელი გზები დასრულდება. პრემიერის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იწყება ხულო-ადიგენის გზის მშენებლობა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება ბათუმიდან აჭარის მაღალმთიანეთთან დამაკავშირებელი გზაც; ასევე, აქტიურად გაგრძელდება გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების პროექტები.

* * *

**საქართველოს მომავალი არის ძალიან ნათელი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე და ის წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველანი გავერთიანდებით ერთიანი, ძალიან საინტერესო განვითარების გეგმების გარშემო, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხელვაჩაურის მოსახლეობას, რომელსაც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში — ილია ნაკაშიძე და მერაბ კარანაძე წარუდგინა.**

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ასეთ საქართველოს აშენებს ხელისუფლება და მის მშენებლობაში თითოეული ადამიანის მონაწილეობა სურს.

**„ძალიან საინტერესო პერიოდი გველის წინ - აღმავლობის, სწრაფი განვითარების და ჩვენი ქვეყნის, რეალურად თანამედროვე, განვითარებულ ქვეყნად გარდაქმნის. ჩვენ მოვახდინეთ მნიშვნელოვანი გარდატეხა საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში. ამ პერიოდის განმავლობაში, ადამიანები გათავისუფლდნენ, ბიზნესი გათავისუფლდა, დღეს არავის აღარ აძალებენ ამა თუ იმ ობიექტის მშენებლობას, არ აძალებენ მათთვის არასასურველი პროექტის განხორციელებას. დღეს წინასაარჩევნო გარემო უპრეცედენტოდ თავისუფალია. დღეს არ არის ტელევიზიებზე, მედიაზე ზეწოლა. ისმის ხშირად მთავრობის კრიტიკა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო ცუდები ვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ასეთი ქვეყანა გვინდა, სადაც ადამიანები არიან თავისუფლები, ეს არის ჩვენთვის ყველაზე მთავარი“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა დეტალურად ისაუბრა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე და აღნიშნა, რომ უკვე შექმნილია ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი, რათა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში გაცილებით უფრო სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდეს. პრემიერის განმარტებით, ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმა ქვეყნის ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციასაც მოიცავს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობა ხალხზე კიდევ უფრო ორიენტირებული გახდება, მმართველობის რეფორმის ფარგლებში ბიუჯეტირების პროცესში რეგიონები ჩაერთვებიან.

**„რეგიონებში ცხოვრების დონე უნდა დავუახლოვოთ ქალაქის ცხოვრების დონეს. ეს არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ დავამაგროთ ჩვენი მოსახლეობა სოფლად. ჩვენ მივიღეთ მთის კანონი, რომელიც უმნიშვნელოვანესია აჭარისთვისაც და, რა თქმა უნდა, მთიანი რეგიონების განვითარება იქნება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. უმნიშვნელოვანესია მთელი საქართველოს ინტერნეტიზაცია — ორი ათასზე მეტ დასახლებულ პუნქტში მივა ინტერნეტი, ასევე, გაზიფიცირება, წყლით მომარაგება, ირიგაცია, სარწყავი სისტემების განვითარება - ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმის სახით უკვე გვაქვს და ჩვენ ვიწყებთ ამ ძალიან ამბიციური, ძალიან მნიშვნელოვანი გეგმის განხორციელებას“,** — მიმართა პრემიერმა ხელვაჩაურის მოსახლეობას.

## უკრაინელმა დეპუტატებმა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩხელი შეიტანეს



უკრაინული მედიის ინფორმაციით, დეპუტატები სააკაშვილს დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნასა და სახელმწიფოსთვის 6,5 მილიარდ გრივნას ოდენობით ზარალის მიყენებაში ადანაშაულებენ.

**„მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებთან ერთად დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა. ამიტომ ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად განცხადება სწორედ გენერალურ პროკურატურაში შევიტანეთ“,** — განაცხადა უმაღლესი რადას დეპუტატმა ალექსანდრე დროზდიკმა.

უკრაინული მედია განმარტავს, რომ დეპუტატებს „Одесский припортовый завод“-ის სამმართველოს პირველმა მოადგილემ ნიკოლაი შჩურიკოვმა მიმართა, რომელმაც განაცხადა, რომ სააკშვილის დანაშაულებრივმა ქმედებებმა ქარხანას 6,5 მილიარდ გრივნას ოდენობით ზარალი მიაყენა.

## სოსო შატბერაშვილი შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ

**პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი პროკურატურას მიმართავს და მოუწოდებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის ქონებით დაინტერესდეს.**




როგორც შატბერაშვილმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ნათელაშვილის დეკლარირებულ ქონებასთან გაჩენილ კითხვებზე პასუხის გაცემას სამართალდამცავებისგან ელოდება.

**„შალვა რად გინდა ასეთი დეპუტატობა, თუ ჯანმრთელობა არ გექნება, ამიტომ წადი ისეთ წყნარ ქალაქში, როგორიც არის ვენა, სადაც შენ გაქვს 7-ოთახიანი აპარტამენტი, ან წადი კალიფორნიაში, სადაც გაქვს ვილა, რომელსაც „შალიკოს ვილას“ ეძახიან, ან ბაზალეთზე, შენს სასახლეში. მე მაინტერესებს, საიდან შეძლო ნათელაშვილმა ამ ქონების დაგროვება,“** — განაცხადა დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა. შატბერაშვილი იმ გაურკვევლ თანხაზეც საუბრობს, რომელიც, მისივე თქმით, ნათელაშვილმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს გადაურიცხა.

**„29 აგვისტოს ხელშეკრულებით, ნათელაშვილმა 100 ათასი გადაურიცხა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს. მაინტერესებს, საიდან აქვს ეს ფული“,** — განაცხადა შატბერაშვილმა.

მისივე თქმით, ნათელაშვილი წლებია ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსში იმყოფება და ამის დასამტკიცებლად „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს.

**„ის გაურიგდა ნაციონალურ მოძრაობას. ისრაელის მოქალაქე, ვინმე ანატოლი ლოტკინმა მას მიუტანა ვენაში დიდი თანხა, რომელიც ბელა ალანიამ განათავსა ავსტრიის ბანკში. როგორც მერე გავარკვიეთ, ეს ანატოლი ლოტკინი არის სააკაშვილის პირადი მოლარე.**

**ამავე ანგარიშზე 98 ათასი ევროც არის განთავსებული 2009 წელს, 117 ათასი არის 2010 წელს და 118 ათასი ევრო — 2011 წელს. საიდან ეს თანხები ან რისთვის? მე მოვუწოდებ პროკურატურას, დაიბარონ დაკითხვაზე ანატოლი ლოტკინი და კითხონ, რისთვის მიუტანა ფული ნათელაშვილს“,** — აცხადებს შატბერაშვილი.

## დათა ახალაიას სასამართლომ სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა



**დათა ახალაიას სასამართლომ სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა. ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე სასამართლო სხდომა გუშინ ბრალდებულ დათა ახალაიას ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.**

ოფიციალური ვერსიით, ირაკლი ზაქარეიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდა. სახაზინო ადვოკატის დანიშვნის გადაწყვეტილება სასამართლომ იმ მოტივით მიიღო, რომ ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო პროცესი არ გაჭიანურდეს.

სახაზინო ადვოკატის დანიშვნის მიუხედავად, ახალაიას ადვოკატირება ირაკლი ზაქარეიშვილს მაინც შეეძლება. ნავთლუღის სპეცოპერციის საქმეზე ბრალდებულების გია დგებუაძის იგივე მასტერას და დათა ახალაიას სასამართლო პროცესი 19 სექტემბერს გაგრძელდება.

## კაკალ გულში

# აი - ბანი, აი - განი...

● **სამშაბათს „არჩევანს“ თავისუფლად შეიძლება „გაბუნიას აბანო“ დავარქვათ, რადგანაც თეთრიც და შავიც ძალიან კარგად გამოჩნდა. ქ-ონმა „თინიკო“ ხიდაშელმა უინტელექტობის და უკულტურობის სრული კასკადი გვაჩვენა. ის თავისი არაადეკვატური ქცევებით, არაადეკვატური ფრაზებით, უადგილო სიცილით ძალიან დაემგვანა „ნანუკას“ და „მაიკოს“ და ისევე როგორც მათ, შოუ არ გამოუვიდა.**

**უაზრო გაკაპასება, სიცილი იმის გამო, რომ „შეურაცხყოფა“ მიეყენებინა ოპონენტისთვის (ალბათ შეხვედრიხართ ისეთ გაუნათლებელ ადამიანებს, რომლებიც მოსმენის ნაცვლად იცინიან, რადგანაც მათ მწირ გონებამდე ვერ დადის ნათქვამი და ამით თითქოსდა აკნინებენ გამოთქმულ მოსაზრებას), უმადურობა, საკუთარი „ღვაწლის“ გაბუქება, „არგუმენტების“ გასამყარებლად თითქოსდა „დიდი ბიძიების“, ანუ „გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების“ სახელების წამოძახება მდაბიოობის სრული სპექტრი აღმოჩნდა.**

**ამ სტატუსს დავამთავრებ ამონარიდით 2008 წლის 12 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაწერილი სტატიიდან, რომელშიც „თინიკო“ ხიდაშელზეც ვთქვი ერთი-ორი სიტყვა, და რომელიც დათა თუთაშხიას დავესესხე: „დიდი მადლობა, მაგრამ მაინც მოგზავნილი მგონიხართ, ქალბატონო!“**

● **რონიშვილმა 365 ოჯახში ვიყავიო!**

**ნაცებო გატყუებთ რონიშვილი. კარდაკარის ფულს გახევთ!**

● **„ნანუკას“, „მაიკოს“, ვანოს შოუები არის თბილი, იუმორით გაჯერებული გადაცემები — წამების, სისხლისღვრის, ძარცვის, ადამიანზე სახელმწიფოს ძალადობის არომატით.**

● **ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდი განტოლება: ახლა ყველას აინტერესებს; რამდენი ფული არ მისცა ბიძომ ბან-ბანს, რომ გათვალოს, რამდენი მოსთხოვოს თვითონ.**

● **დეპუტ-ენა:**

**აი-სია,სია-აი,**
**აი-კვოტა,**
**აი-სკამი,**
**აი-ფული,ფული-აი,**
**აი-ბანი,**
**აი-განი,**
**აი-დონი,**
**აი-ტრაკი,**
**აი-თითიც.**



**იმდენ ტყუილს აფრქვევენ საარჩევნოდ და ცხვირები არ ეზრდებათ,პლასტიკური ქირურგია ნამდვილად განვითარდა!!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

# შემირცხვენია ყველა, ვინც „ნაცსექტის“ მეხოტბე, მხარდამჭერი და მიმდევარია!



**ვინც კარგად იცნობს მსოფლიო ისტორიოგრაფიასა და კაცობრიობის განვითარების ჟამთასვლის ქრონიკებს, მან იცის, თუ როგორი მმართველობითი რეჟიმის, პოლიტიკური წყობილებისა და სადისტური მეთოდოლოგიის პირსისხლიანი იდეოლოგები იყვნენ: ჰანიბალი, ნერონი, ადრიანე, ტრაიანე, ატილა, მურვან ყრუ, ჯალალ ად-დინი, ჩინგიზ ყაენი, თემურ ლენგი, შაჰ აბასი, ჰიტლერი, კიმ ჩენ ირი, სადამ ჰუსეინი და სხვები;**

ვინც იცნობს სამყაროს წარსულს, მან იცის თუ რას ნიშნავს, აუშვიცი, ოსვენციმი, დაჰაუ, ჰოლოკოსტი, აბუ-გრეიბი, გუანტანამო და სხვა ტანჯვა-წამების ჯოჯოხეთური მოვლენები, მაგრამ ის რაც თანამედროვე საქართველოში, ფსევდოდემოკრატიის შუქურა მ. სააკაშვილის პირობებში ხდებოდა დაპატიმრებული, უმწეო, უსუსური და საბრალო ადამიანების მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ადგილას ეს არ მომხდარა სისტემური და მასობრივი წესით.

ცხადია, უწინაც არსებობდნენ ავადმყოფი ჯალათები და ფსიქოპათოლოგიურად შეშლილი სადამსჯელო ჯგუფები თუ ცალკე არსებული ვამპირი არამზადები, მაგრამ ასეთი ღირსებააყრილი მსხვერპლი და დამცირებული ხალხი არცერთ ბელადს არ ჰყოლია.

რასაკვირველია, ისინიც სცემდნენ, აგინებდნენ, ფიზიკურად საშინელ დაზიანებებსაც აყენებდნენ, მაგრამ გაუპატიურებით არავის უსწორდებოდნენ და ცოცხს მხოლოდ ნაგვის გასატანად ხმარობდნენ, ხოლო ხელკეტს შემორტყმისათვის!

ეს ნაძირლები და ეშმაკის გენეტიკის გამგრძელებელი ბიოორგანიზმები კი ჯერ არნახული სიდამპლით კავდებოდნენ და მთელ ერს სულიერ თუ ფიზიკურ გენოციდს უწყობდნენ. ფაქტია, რომ ის, რაც 9 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, იყო გაუგონარი ბოროტების აპოთეოზი და ამორალურობისა თუ სატანიზმის ენით გამოუთქმელი ბოგინი.

სახელმწიფოს მმართველი აპარატი პლუტოკრატიასა და ავტორიტარიზმს ამკვიდრებდა, სდევდნიდა განსხვავებულ აზრს, აწვებოდა ეტატიზმს, ტოტალურ კონტროლზე აყავდა სამოქალაქო სექტორი, ატერორებდა ბიზნესს, ხელყოფდა საკუთრების უფლებას, არბევდა მშვიდობიან მანიფესტაციებს, პრეზიდენტისგან შთაგონებულ გზავნილებს — **„ხელი არ აგიკანკალდეთ სროლისას“** და **„ნულოვანი ტოლერანტობა“** — წარმატებით ასრულებდნენ ძალოვანი სტრუქტურისა და უშიშროების სპეცსამსახურები ავადსახსენებელი „სოდი“-სა და „კუდი“-ს მეშვეობით.

ისინი, თავიანთ უზნეო წიაღში იწვევდნენ და ყოვლადარაფრობიდან — ძალაუფლების კვარცხლბეკზე ამაღლებდნენ აბსოლუტურად ეგოისტ, გაუნათლებელ, მატერიალისტ, კარიერისტ და მერკანტილისტ თავქარიანებსა და უპიროვნო არსებებს, რომელნიც სხვათა ჩაგვრითა და გაუბედურებით, საკუთარ „ბედნიერებას“ იწყობდნენ.

ისინი ინტელიგენტ, ერუდირებულ და სულიერ ადამიანებს დასცინოდნენ, ჩარეცხილებად რაცხდნენ და ყოველგვარ ეროვნულს — საბჭოთა მენტალიტეტში ჩარჩენილ რუდიმენტად მიიჩნევდნენ. ისინი, ფალსიფიცირებული ქართველის გამოდნობას ცდილობდნენ და ამისთვის რელიგიური ღირებულებებისა და კულტურული ფასეულობების ნიველირებას ცდილობდნენ.

ისინი, ტრადიციულ შემოქმედებას მასხრად იგდებდნენ, თავიანთ უკბილო იუმორისტულ გადაცემებში აშარჟებდნენ და მათსავე მარიონეტულ ტელევიზიებში სარკაზმის ბალღამით იგესლებოდნენ.

ისინი, მოსამართლეს ნოტარიუსად ამუშავებდნენ, ხოლო პროკურორს კი უტიფარ მოსამართლედ.

ისინი, მასკულტურის სნობურ ელიტასა და კარის ბომონდს ასპარეზს უთმობდნენ, ხოლო უწმინდეს ხელოვნებას ლახვარს ასობდნენ, რის გამოც ნიჭიერ ადამიანებს შიმშილის ზღვარზე მათხოვრულად ტოვებდნენ და ფუყე თავთავებს მოღერებულად აბიბინებდნენ.

ისინი დასმენას, თვალთვალსა და ამჟამინდელი გროზნოს მსგავსად ნახევარი მოსახლეობის დაპატიმრების ხარჯზე მოპოვებულ „წესრიგს“, პროგრესს ეძახდნენ.

ისინი ე.წ. კანონიერ ქურდებს მუქთახორობის გამო ციხეში სვამდნენ, ხოლო თავად კი მათსავე მავნე ფუნქციას ითავსებდნენ იძულებითი „დაკრიშვის“ საქმეში.

ისინი, ცხრაასზე მეტ ტუსაღს ციხეში მრავლობითი მოტეხილობით კლავდნენ და ექსპერტიზის დასკვნაში ვენერიული დაავადებით უნებლიე გარდაცვალებას უწერდნენ.

ისინი, სადიზმის ტელესერიალებს იღებდნენ და მარტო ერთ სამალავში 26 000-მდე წამების ამსახველ ფირს ინახავდნენ, ადამიანთა დაშანტაჟების, უფროსთან თავმომწონეობისა და სამსახურეობრივი დაწინაურებისთვის.

ისინი, დედაქალაქის მერიის ბიუჯეტიდან სტრიპტიზ კლუბებს აფინანსებდნენ და მაშინდელი მერის მეუღლისთვის ბოტოქსისა და ტუჩების დაბერვისთვის თანხებს რიცხავდნენ.

ისინი, ტელევიზიებს ილუზორული საქართველოს გაშვეიცარიებაზე სიუჟეტებს ავალებდნენ, ხოლო რეალობა კი თაბუკაშვილზე შენობის დანგრევა, მილიონზე მეტი უმუშევარი და იძულებით ემიგრირებული ადამიანის გოდება იყო.

ისინი, ბელადის პირით ნაქებ დამნაშავე რეგვენებს გაღლეტილისა და გმირის სტატუსით წარმოგვიდგენდნენ (მერაბიშვილი-ადეიშვილი-კირკიტაძე), ხოლო ოთანაძეს, თეთრაძესა და კვიციანს სამშობლოს ღალატს სწამებდნენ.

ისინი რუსეთს ოკუპანტს ეძახდნენ და ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს მათზე ყიდნენ და ყველაზე მსხვილ ინვესტორადაც მათ ადგენდნენ.

ისინი, ლიბერალიზმს რიტორიკაში მისდევდნენ, ხოლო რეალურად ბოლშევიკურად მოქმედებდნენ. საბოლოოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადსაკაცობრიო კრიმინალისა და ბოროტების გამო, ნაციონალური მოძრაობაც ისევე უნდა გასამართლდეს, როგორც ფაშიზმი გასამართლდა და აიკრძალა ნიურნბერგიდან.

დააკვირდით მათ მომხრეებს, არშემდგარ, დაბოლმილ და ყოვლადუსირცხვილო არსებებს. ეს უსინდისო და უნამუსო მეცოცხეები ქვეყნის წარმატებაში პირად მარცხსა და საკუთარ უბედურებას ხედავენ, ხოლო ქვეყნის წარუმატებლობაში კი — ბედნიერებას. შემირცხვენია ყველა, ვინც „ნაცსექტის“ მეხოტბე, მხარდამჭერი და მიმდევარია!

შემირცხვენია ყველა კონფორმისტი, „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“ ტიპის ადამიანი და სულგაყიდული აგენტი, ვინც პირადი სარგებელის გამო მისტირის წინა ხელისუფლებას.

**გიორგი ტიგინაშვილი**

**დააკვირდით მათ მომხრეებს, არშემდგარ, დაბოლმილ და ყოვლადუსირცხვილო არსებებს. ეს უსინდისო და უნამუსო მეცოცხეები ქვეყნის წარმატებაში პირად მარცხსა და საკუთარ უბედურებას ხედავენ, ხოლო ქვეყნის წარუმატებლობაში კი — ბედნიერებას. შემირცხვენია ყველა, ვინც „ნაცსექტის“ მეხოტბე, მხარდამჭერი და მიმდევარია!**

## დავით უსუფაშვილი: თურმე ჩემი ბრალია, რომ პირდაპირ არჩეულია მარგველაშვილი

**2013 წელს კოალიციაში ატყდა ერთი ამბავი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომ თქვენ პარლამენტში დასხედით, აიღეთ ხელში ძალაუფლება და გინდათ პრეზიდენტის დასუსტებაო,** — განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, იმ დროიდან, როდესაც გიორგი მარგველაშვილი **„აღარ არის კარგი ბიჭი ბიძინა ივანიშვილის თვალში“,** მისი პრეზიდენტად არჩევა რესპუბლიკელებს ბრალდებათ.



**„რესპუბლიკური პარტიის ძალიან მყარი პოზიცია იყო 93-95 წლების საკონსტიტუციო რეფორმის დროს კომისიაში, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო არაპირდაპირი წესით არჩეული. ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ ქვეყანას პირდაპირ წესით არჩეული პრეზიდენტი და ზოგადად საპრეზიდენტო სისტემა არ წაადგება. ვნახეთ ეს ყველაფერი, არ წაადგა ეს სისტემა.**

**საპარლამენტო მოდელში პრეზიდენტი უნდა იყოს არჩეული არა ხალხის მიერ პირდაპირ. ეს არის ჩვენი პოზიცია. რა წერია ამ დოკუმენტში, რომელიც არც ბიძინას წაუკითხავს და არც სხვას და, როგორც ჩანს, გულწრფელად არ იციან, რას სთავაზობს ხმალაძე — ვინ აირჩიოს პრეზიდენტიო? ერთი ან დოკუმენტი მანახოს ვინმემ ან სიტყვა ნათქვამი ჩვენი მხრიდან, რომ ამ საკითხში რაიმე სხვა უნდა იყოს და არა ის, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს არჩეული არაპირდაპირ. თურმე ჩემი ბრალია, რომ პირდაპირ არჩეულია მარგველაშვილი.**

**2013 წელს ვახტანგ ხმალაძემ საჯაროდ გამოსვლისას თქვა, რომ ჩვენ ვუჭერთ მხარს არაპირდაპირ არჩევასო. ამაზე კოალიციაში ატყდა ერთი ამბავი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომ თქვენ პარლამენტში დასხედით, აიღეთ ხელში ძალაუფლება და გინდათ პრეზიდენტის დასუსტებაო. ეს არის 2013 წელი, როდესაც სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტია და მარგველაშვილი ჯერ კიდევ კარგი ბიჭია ბატონი ბიძინას თვალში. მერე უკვე, როდესაც მარგველაშვილი არ ყოფილა თურმე კარგი კაცი, რესპუბლიკელებს გვბრალდება ის, რომ მარგველაშვილი პირდაპირ არის არჩეული. რა უნდა გვექნა რესპუბლიკელებს; ჩვენი 9 ხმა ქსეროქსზე გადაგვეტანა, 215-ად გვექცია და კონსტიტუციაში ჩაგვეწერა, რომ პრეზიდენტი სხვანაირად აირჩევა? ეს სცდება ჩემი აზრით უკვე პოლიტიკური დებატების ფარგლებს. მე შეფასება და სახელის დარქმევა მიჭირს, რა ჰქვია ამას“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

## გიორგი მღებრიშვილი: რიგი პარტიებისა, არჩევნების პერიოდში და არჩევნების შემდგომაც გარკვეულ პროვოკაციებს აპირებენ

**შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ინფორმაციით, რიგი პარტიები არჩევნებისა და შემდგომ პერიოდში პროვოკაციების მოწყობას გეგმავენ.**



ამის შესახებ მღებრიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა და აღნიშნა, რომ შს სამინისტრო ამ მიმართულებით მობილიზებულია და ყველა რესურსს ფლობს იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდეს.

**„არის ინფორმაციები, რომ რიგი პარტიებისა, აპირებენ არჩევნების პერიოდში და არჩევნების შემდგომაც გარკვეულ პროვოკაციებს. მე თავს შევიკავებ დეტალების გამჟღავნებისგან, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით აბსოლუტურად მობილიზებულები ვართ.**

**კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნია ყველა ძალა და რესურსი იმისთვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდეს“,** — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

**◎ არჩევნების წინ...**

# კედელს შეყრილი ცერცვი...

**საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა. ყოველგვარი შესავლისა და მიკიბმოკიბვის გარეშე პირდაპირ სათქმელზე გადავალ.**

დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის მიღების დღიდან რაც გვჭირს, ეს ყველასთვის ნათელია. ამ თემასთან დაკავშირებით არაერთი მწვავე სტატია და პუბლიცისტური წერილი მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ, რომ იტყვიან, „შეაყარე კედელს ცერცვი“. უფრო მეტიც, ჯერჯერობით, ანუ თითქმის 20 წლის განმავლობაში, ვისაც ეს ეხებოდა, არანაირი ფორმით არ შეგვხმიანებია.

სწორედ ამიტომ, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას ასეთი მინაწერი დაურთო: **„ანზორ ბაბუხადიას წინადადებებს ჯეროვანი მხარდაჭერა და დასაბუთებული კრიტიკა ესაჭიროება. სწორედ ამიტომ, ვთხოვთ ჩვენს გონიერ მკითხველს მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები. ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, რომ არჩევანში კიდევ ერთხელ არ შევცდეთ“.**

ზემოაღნიშნული პუბლიკაციებით ვერანაირ შედეგს რომ ვერ მივაღწიე, ჩვენი ორი ახალი ბროშურა: **„როდემდე უნდა გვჯიჯგნონ ვაიპოლიტიკოსებმა“ და „ჯანსუღ ღვინჯილია — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნების ნიმუში“,** კვლავ მივუძღვენი ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. სამწუხაროდ, არც ამ კრებულებს მოჰყოლია სათანადო რეაგირება და ალბათ ამიტომაც ვართ დღევანდელ მდგომარეობაში. შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს ამ პუბლიკაციებიდან:

**— „პარლამენტის წევრები არ უნდა იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, ფულით გაზულუქებული პიროვნებები, ვისაც ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარებული აქვს და ახლა კარიერისა და დეპუტატის იმუნიტეტისათვის იბრძვიან“.**

**— „პარლამენტის წევრების შერჩევის კრიტერიუმი პირადი ერთგულება და მატერიალური მდგომარეობა კი არ უნდა იყოს, არამედ ის, თუ ქვეყნის სასიკეთოდ რის გაკეთებას შეძლებს მომავალი პარლამენტარი. თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება შეიცვალოს და იქ მოხვდნენ განსწავლული და კანონპროექტებზე მომუშავე მაღალი დონის სპეციალისტები, მაშინ პარლამენტარებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი და პენსიები, ან სხვა ნებისმიერი დანამატები, დაენიშნოთ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი საპენსიო განაკვეთების ფარგლებში“.**

**— „მომავალმა პარლამენტარებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების ზღვარი და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრონ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი კანდიდატურების წამოყენებაზე“.**

**— „წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს, მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ფულიან და უფულო კანდიდატს უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი შესაძლებლობები!“**

**— „მივესალმები თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე.“**

**— „დღეს ბევრ თავმოყვარე ქართველს სამარცხვინოდ მიაჩნია ისეთი ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც არჩევნების გაყალბება და მასზე საუბარი ჩვეულებრივი მოვლენაა; სადაც წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს რაც მოუნდებათ იმას დაპირდებიან, მისი შეუსრულებლობისთვის კი არავის წინაშე პასუხს არ აგებენ; სადაც ამომრჩეველს, გადმობირების მიზნით, მათხოვრულ ქრთამს ურიგებენ და ტყუილებით აბოლებენ; სადაც ადამიანს, უპირველეს და, ალბათ, ერთადერთს — არჩევანის უფლებას ართმევენ და მის ხმას თავისი შეხედულებისა და სურვილის მიხედვით ისე იყენებენ როგორც აწყობთ.“**

**— „წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენის“ მიზნით არ არის გამართლებული, რადგან ის როგორც წესი, ტარდება რომელიღაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისაკენ“.**



ამომრჩევლების მოლოდინში

**— „კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ მომავალში უნდა გაუქმდეს არჩევნების მაჟორიტარული სისტემა. პირიქით, მიმაჩნია, რომ მაჟორიტარებს, პარტიული სიით არჩეულ დეპუტატებთან შედარებით, უპირატესობაც აქვთ იმ გაგებით, რომ ისინი წამოყენებული არიან ადგილობრივი ტერიტორიული ოლქებიდან, შესაბამისად, აქვთ მეტი ცნობადობა და ანგარიშვალდებულება თავიანთი ამომრჩევლების მიმართ“.**

პატივცემულო მკითხველო, რა თქმა უნდა, არა მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი ზემოაღნიშნული მოსაზრებები უპირობოდ მისაღებია. სწორედ ამიტომ, როგორც წესი, ჩემს ყველა სტატიას არჩევნების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით ვამთავრებდი თითქმის ერთნაირი მოწოდებით — ეროვნული მნიშვნელობის ამ პრობლემის შემდგომი ოპტიმიზაციისა და დახვეწის მიზნით მზად გახლავართ, ნებისმიერ დაინტერესებულ სუბიექტს შევხვდე ორივე მხარისთვის მისაღებ დროსა და ფორმატში. სამწუხაროდ, მიუხედავად ამისა არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს, ამ თემასთან დაკავშირებით, გამოეთქვა ჩემთან მსჯელობის სურვილი.

ახლა კი მივმართავ ვაიპოლიტიკოსებს: **არჩევნებში დაუმსახურებლად გამარჯვების ნაცვლად იზრუნეთ სამშობლოზე და გაატარეთ სათანადო ღონისძიებები, რათა კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე. მხოლოდ ამის შემდეგ, კვლავ მოგეცემათ საშუალება ამომრჩეველთა საღი აზრის გათვალისწინებით, კანონიერი გზით იზრუნოთ 2020 წლის არჩევნების უფრო სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფისთვის.**



**ანზორ ბაბუხადია,**
**რიგითი ამომრჩეველი**

---

## ზურაბ ბიგვავა:

# ისევ სამეული, ოღონდ ამჯერად წინასაარჩევნო

### ხომ არ გადაიქცევიან ახალ ნაცმოძრაობად?

**ამერიკული რადიოსადგურის „Радио Свобода эхо Кавказа“-ს კორესპონდენტმა ვადიმ დუბნოვმა ინტერვიუ ჩამოართვა ქართველ სოციოლოგ ზურაბ ბიგვავას.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებულ ვერსიას:**



**— ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსი „საკმაოდ უცნაურად“ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „ქართული ოცნების“ სიაში მხოლოდ პირველ-მეორე ადგილზეა საყოველთაოდ ცნობილი, აღიარებული ადამიანები, ხოლო ყველა დანარჩენი ახალი სახეები არიან. ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ საკადრო დეფიციტს, „საკადრო შიმშილს“ განიცდისო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს საკადრო დეფიციტითაა გამოწვეული. როგორც ნათქვამია, ეს გემოვნების საქმეა. რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთს სია თურმე „უცნაურად მოეჩვენა“, მე მათ გავახსენებ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერს თავის გამოსვლებში არაერთგზის უთქვამს, რომ პარტიის საარჩევნო სიაში იქნებიან ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრები, რომლებსაც უმაღლესი განათლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აქვთ მიღებული, ანუ ისეთი ადამიანები, რომლებიც უკვე ადაპტირებულნი არიან ქართულ სტრუქტურებში და პრობლემები მათთვის ცნობილია. ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი სიის წარდგენით ძალიან დიდი და დროული ნაბიჯი გადადგა: მასში ისეთ ადამიანებს ვხედავთ, რომლებსაც ქვეყნის „სწრაფი განვითარების“ პროგრამის განხორციელებაში დიდი და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათი სლოგანების თანახმად, ჩვენ უკვე მივაღწიეთ თავისუფლებას, ქვეყანაში უკვე თავისუფალი საზოგადოებაა ჩამოყალიბებული — მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ბიზნესიც გათავისუფლებულია ადმინისტრაციული გავლენისაგან... ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ განვითარებას, რაც საქართველოს მოქალაქეებს კეთილდღეობას მოუტანს.

**— ბატონო ზურაბ, არ ვიცი, სწორად გავიგე თუ არა, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა სიის შედგენაში ყველაზე უშუალო და შეიძლება მონოპოლიური მონაწილეობა მიიღო?**

— რამდენადაც მე ვიცი ამის შესახებ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან სიისათვის სამი კანდიდატურა დაასახელა და ამ სამიდანაც მხოლოდ ერთი იქნა მოწონებული. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ყველა გადაწყვეტილებას ის სამეული იღებდა, რომელიც სიის დასაწყისშია წარმოდგენილი. საერთოდ კი, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადამწყვეტი იყო გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე რეალური ლიდერია. ძირითადად მან შეადგინა ის სიაც, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა.

**— იქნებ თქვენ, როგორც პოლიტტექნოლოგმა ამიხსნათ, რა უნდა გავაკეთო მე, დავუშვათ, (ქართველმა) ამომრჩეველმა, რა უნდა ვიგრძნო, როცა ამ სიას შევხედავ? პირველი ორი გვარი — თავიანთი ნაკლოვანებებითა და ღირსებით — ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. დანარჩენები მედიურ სახეებს არ წარმოადგენენ, თუ მეათე ადგილზე მყოფ ირინა ფრუიძეს არ ჩავთვლით. აქ არ არიან ის ადამიანები, რომლებსაც მე (ქართველი ამომრჩეველი) ბიზნეს-საქმეებით ან პოლიტიკური საქმიანობით ვიცნობ. რატომ უნდა მივცე ხმა ამ სიას? მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა სხვა პარტიის სია უარესია? რა არგუმენტებია „ქართული ოცნების“ სიის სასარგებლოდ?**

— არგუმენტები წარმოდგენილი იქნება წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ამ არგუმენტებზე ადრეც უკვე არაერთხელ თქმულა. დღეს სიის პირველი ათეული თუ უფრო მეტი ადამიანი მაჟორიტარულ სიაშიც შედიან, მათ სახეებს თითქმის ყველა ქართული ტელეარხი აჩვენებს. ასე რომ, მათ ექნებათ საკუთარი თავის წარდგენის შესაძლებლობა, მათ აქვთ თავიანთი ბექგრაუნდი: სად მუშაობდნენ, რით იყვნენ დაკავებულნი, რა შედეგებს მიაღწიეს... და ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ ხალხმა კარგი განათლება მიიღო, მათ აქვთ თავიანთი განსაკუთრებული ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა, პოლიტიკა და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება.

**— ანუ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამ ადამიანების გაცნობა (გაპიარება) მოხდება...**

— დიახ, მოხდება ამ ადამიანებისა და პროგრამების გაცნობა-გაპიარება. რაც მთავარია, წარმოდგენილი იქნება მკაფიო გეგმა, რომელშიც არ იქნება რეკლამირებული რაღაც არარეალური მომენტები, ხალხი კი, რომელიც უკვე უფრო კვალიფიციური გახდა, გაეცნობა ამ პროგრამებს და თვითონ გაერკვევა, თუ ვინ რას სთავაზობს ამომრჩეველს. ამჯერად „ქართულმა ოცნებამ“ პირველად წარუდგინა მოსახლეობას პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად რეალისტურია და, იმავდროულად, მაქსიმალურად არ არის „გაბერილი“ რაღაც არარეალური დაპირებებით.

**— მინდა თქვენი ოპონენტების შესახებაც გკითხოთ... ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სია წარადგინა პაატა ბურჭულაძემაც, რომელიც საკმაოდ გამომხატველია... როგორ ანალიზს გააკეთებდით?**

— როგორ გითხრათ... პაატა ბურჭულაძის ბლოკი უცნაურად მეჩვენება - სწორედ ასეთი სიტყვით შემიძლია გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება. მათ ჯერ ფონდით დაიწყეს, რაღაც ღონისძიებებს ატარებდნენ, მოსახლეობას ეხმარებოდნენ... მერე ეს ბლოკი იმ ადამიანებს დაუკავშირდა, რომლებიც თავის დროზე „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩამოშორდნენ, შემდეგ მათთან „ახალი მემარჯვენეებიც“ მივიდნენ და ბოლოს, „ნაციონალების“ კიდევ ერთი ნამსხვრევი... ასე რომ, ძალიან ბევრი კითხვაა: რა ორიენტაცია აქვს ამ პარტიას, რას გააკეთებენ და ხომ არ გადაიქცევიან ისინი ახალ „ნაციონალურ მოძრაობად“?

## გიორგი რუხაძემ პაატა ბურჭულაძის პარტია დატოვა

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს რუხაძემ თავად გუშინდელ ბრიფინგზე გააცნო.

**„ეს არის სამწუხარო რეალობა. მე ვტოვებ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ პარტიას იმ მიზეზით, რომ ეს აღარ არის პაატა ბურჭულაძის მოძრაობა, ეს აღარ არის ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩვენ ერთად ავაშენეთ, ეს აღარ არის მოძრაობა, რომელსაც ახალი თაობა მოყავდა პოლიტიკაში, ეს აღარ არის მოძრაობა, რომელიც „ქართული ოცნების“ თუ ნაცმოძრაობის ალტერნატივა იქნებოდა, ეს აღარ არის ის პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ლიდერიც არის პაატა ბურჭულაძე. ჩემდა სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც პავლე კუბლაშვილისა და გიორგი მელაძის ხელით იმართება და ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ემსახურება“,** — განაცხადა რუხაძემ.

მისივე თქმით, პარტიის დატოვების გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიუღია. როგორც რუხაძემ აღნიშნა, პარტიაში თავად პაატა ბურჭულაძე არაფერს წყვეტს.

## ნუკრი ქანთარია: პაატა ბურჭულაძემ იხმარა და გადააგდო ეს ხალხი

**ბურჭულაძეს მინდა ვუთხრა, რომ სასწრაფოდ უნდა გაეცალოს პოლიტიკას, სანამ კიდევ დროა, რადგან მართლაც ბუტაფორიულ სათამაშოდ იქცა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა ნუკრი ქანთარიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური გაერთიანების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

მისი თქმით, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ გაერთიანებას არავითარი კავშირი არა აქვს არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც ბიძინა ივანიშვილთან.

**„თვითონ პარტიის შექმნა, ბურჭულაძის გამოჩენა, კაცი 60 წელს გადაცილდა და ერთი ხმა არ ამოუღია, საზოგადოებრივი განცხადება არ გაუკეთებია, იყო თავის პროფესიაში, ყველანი პატივს ვცემდით, გვიხაროდა, რომ ჩვენი სახლით მღეროდა (კი ამბობდა ხანდახან, რომ რუსული ბანი ვარო), მაგრამ მაინც ქართველი კაცი იყო და უცბად დაავალეს და ჩასვეს პროექტში, რომ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა. ეს ყველაფერი იმდენად ყალბი და ხელოვნური იყო, რომ ძნელია ამის დაჯერება“,** — განაცხადა ქანთარიამ.

მისივე თქმით, გამოჩნდა, რომ პაატა ბურჭულაძეს ,,ნაციონალურ მოძრაობასთან“ აქვს კავშირი. ქანთარიას თქმით, ბურჭულაძეს აქამდე ჰქონდა გარკვეული ავტორიტეტი, თუმცა ფონდ „იავნანას“ ირგვლივ ბევრი კითხვაა.

## ხათუნა ლაგაზიძე პროკურატურაში გამოკითხეს

**პაატა ბურჭულაძის ყოფილმა თანაგუნდელმა ხათუნა ლაგაზიძემ პროკურატურას მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.**

როგორც აღნიშნა, ის მის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით გამოიკითხა.

საუბარია იმ განცხადებაზე, სადაც უსაფრთხოების მიზნით, ის სახელმწიფოსგან მისი და მისი ოჯახის წევრების დაცვას ითხოვდა. ლაგაზიძის განცხადებით, დღეს ის თავს დაცულად გრძნობს, თუმცა, არ აკონკრეტებს დაუნიშნავენ თუ არა მას დაცვას. ლაგაზიძის თქმით, გამოკითხვის დროს საუბარი შეეხო „სახელმწიფო ხალხისთვის“ აჭარის რეგიონის სიის პირველ ნომერს გიორგი კალაძეს, რომელიც ლაგაზიძის მტკიცებით, კრიმინალური მენტალობის მქონე პირია, ზედმეტ სახელად „კალოშა“.

ხათუნა ლაგაზიძემ პაატა ბურჭულაძის პარტიიდან გიორგი რუხაძის წასვლის ფაქტიც შეაფასა და განაცხადა, რომ რუხაძე არ იქნება ბოლო, ვინც პარტიას დატოვებს. მისი თქმით, პაატა ბურჭულაძეს არჩევნებამდე თანაგუნდელები, ვისთან ერთადაც პარტია დააარსა, არ მიჰყვებიან.




# ბარათები — გზა ისტორიული პანორამისაკენ

**მხატვრულ ქმნილებებში მეტ-ნაკლებად ილანდება მწერლის ბიოგრაფია. ცხადია, ეს იმისდა მიხედვით, რამდენად უხვად სარგებლობს თავისი ცხოვრებით, ხან პირდაპირაც რომ გადააქვს ყოფითი ეპიზოდები, სიტუაციები, დიალოგები, ფრაზები...**

კიდევ უფრო კანთიელად შეიძლება აღდგეს ბიოგრაფია დღიურებისა თუ ბარათების თარგზე, რომ აღარაფერი ითქვას ავტობიოგრაფიულ თხზულებებზე.

რასაკვირველია, იგულისხმებიან ის შემოქმედნი, რომელთაგან ნაკლებადაა მოსალოდნელი რაიმეს განზრახ შეცვლა, შელამაზება-შეკეთება, არამცთუ გაყალბება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათების წამკითხველთ ოდნავი ეჭვიც არა რჩებოდათ, რომ მათზე დაყრდნობით შესაძლებელი იყო პოეტის არამარტო სულიერი პორტრეტის აღდგენა, არამედ მისი ცხოვრების გარეგანი მხარის წარმოსახვაც და იმჟამინდელი ტფილისის სინამდვილის გადმოშლაც პერსონაჟთა მრავალფეროვანი, კოლორიტული გალერეით.

ის, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანში უნდა გადასახლებულიყო (თუკი ბედისწერა დააცლიდა მის შექმნას!), მისი შორეული ანარეკლი პირად წერილებს შემოუნახავთ.

ვახტანგ კოტეტიშვილი იმთავითვე გვირჩევდა ეპისტოლეთა ამ რკალს გასაღებად დიდ სამყაროში შეღწევისათვის:

— ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია, ამ სიტყვის ფსიქოლოგიური გაგებით, სწორედ ამ წერილებშია და არა იმ გარეგანი ფაქტების ქრონიკაში, რომელიც ხშირად ზვიადდება, სიცრუეში გადადის და ისეთს სიცრუეში, რომელიც სიმართლესა ჰგავს.

ამ ბარათებს უნდა ამოედო ლაგამი ფანტაზიის მოყვარულთათვის და მკვლევარისა თუ მწერლის ჟინი მოექცია იმ ჩარჩოში, დოკუმენტური პროზა რომ მოითხოვს და შენს ნებაზე არ გიშვებს თვით უკიდურესი წვრილმანების დროსაც.

მართლაც მტკიცე ჩარჩოში, ბიოგრაფიულ რომანს რომ შეჰფერის.

და უაღრესად მომხიბლავსა და შთამბეჭდავშიც.

იოსებ გრიშაშვილი სწორედ ამ, ესთეტიკური კუთხით გაამახვილებდა მკითხველის გულისყურს:

— ნიკო ბარათაშვილის კერძო წერილები ისე იკითხება, როგორც მერიმეს ნოველები: რამდენი გრძნობა, რამდენი სიღრმე, გონებამახვილობა.

თავმოსაწონებელია — და სავსებით საფუძვლიანი — პროსპერ მერიმეს მოხსენიება, თუმც ეგებ უფრო უპრიანი ყოფილიყო სტენდალისა და მისი „იტალიური ქრონიკების“ გახსენება, რომელიც მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობასთან დოკუმენტური ფონის სიმკვეთრით.

მთავარი მაინც აქ ისაა, ესთეტიკური აღქმა: მერიმეს ნოველებივით იკითხებაო.

და ეს — პირადი წერილები.

ორივე ამონარიდი — ვახტანგ კოტეტიშვილისაც და იოსებ გრიშაშვილისაც — ეპიგრაფებად უძღვის ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ახალ გამოცემას, რომელიც მოამზადა, შესავალი, კომენტარები შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მაია ცერცვაძემ („არტანუჯი“, 2015).

ერთ მოზრდილ ტომად შეკრულა ეპისტოლეთა ის ციკლი, მოცულობით საკმაოდ მცირე რომ არის, მაგრამ შინაგანი სივრცითა და მნიშვნელობით იმ რანგისაა, ნამდვილ ფსიქოლოგიურ ბიოგრაფიას რომ მოხაზავს და ნოველის დიდოსტატის სახელსაც ძალდაუტანებლად გამოიხმობს.

მაშ კომენტარებიც და შენიშვნებიც იმ რანგისა უნდა იყოს, ამ ბარათებს რომ შეშვენის.

და თამასა მკვლევარის მიერ იმითაცაა აწეული საკმაოდ მაღლა, ეს ორი ფრაგმენტი რომ უძღვის წიგნს და მკითხველს რაღაც განსაკუთრებულთან შესახვედრად ამზადებს.

განსაკუთრებულთან — კომენტარებითაც, არსებითად ექსკურსებით, თორემ აბა მოზრდილი წიგნი რას უნდა შეედგინა?!.

თავის დროზე პავლე ინგოროყვა ამ ეპისტოლეებში ჩაეფლობოდა, რათა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის დრამატული სიყვარულის ისტორია მთელი თავისი ფსიქოლოგიური სიღრმეებით წარმოეჩინა, მაგრამ ბარათებში იმდენი დეტალია, ასე ერთბაშად რა გაწვდებოდა ყველაფრის გაშიფრვას.

დიდძალი მასალა უნდა დაგვგროვებოდა იმ ეპოქაზე — მემუარული, ეპისტოლური, სამოგზაურო თუ სხვა ჟანრის ლიტერატურა, იმხანად კავკასიაში მომსახურე რუს და სხვა უცხოელ სამოქალაქო-სამხედრო პირთა ჩანაწერები, გამომზეურებულიყო სამუზეუმო თუ საოჯახო არქივები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყველაზე თავგამოდებულ პირთათვის.

მეცნიერთა თაობების გარჯას სულ უფრო მეტი ღრმა, მახვილგონივრული, საფუძვლიანი მოსაზრება, დასკვნა, ჰიპოთეზა შეემატებინა ჩვენი თვალსაწიერისათვის, რათა ეს მონაპოვარი ადრე თუ გვიან ამ ყაიდის წიგნადაც ქცეულიყო, კომენტარები ექსკურსებსაც რომ დაემგვანებოდა, მინიატიურების ციკლივით საკითხავსაც, მითუმეტეს, თუ მკვლევარი არ იყაბულებდა მარტოდენ კომპილაციური შინაარსის კომენტარებს და უხვად გააჯერებდა საკუთარი მიგნებებითაც, არქივის მასალებს, ჯერაც დავიწყების წყვდიადში გამოკეტილთ, ახალ სიცოცხლეს რომ შთაბერავდა, სამეცნიერო მიმოქცევაშიც შემოიტანდა და თვითონაც რამდენ რაიმეს განმარტავდა თუ დააზუსტებდა ისტორიულ-ლიტერატურულ ნაკადშიც და გარდასულ ეპოქათა პერსონაჟთა ბიოგრაფიებშიც, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრების ჟამს მონუმენტურ პანორამად რომ გადმოგვიშლიდა.

კომენტირების სფეროში იმხელა წარმატებისათვის მიგვეღწია, ადვილი აღარ არის ამ საუფლოს შებედო, აგერ ახალ დროებაშიც ვახტანგ კოტეტიშვილის, აკაკი გაწერელიას, ბაჩანა ბრეგვაძისა თუ თამაზ ჯოლოგუას კომენტარები კვლავაც რომ შეინარჩუნებდნენ პეტრიწონული თამასის სიმაღლეს.

და აი, მაია ცერცვაძის ძიებების წყალობითაც კვლავ უნდა გვეხილა ამ ტრადიციის გამგრძელებელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილთა რკალზე დაყრდნობით დიდებულ ისტორიულ პანორამას რომ გადაგვიშლიდა თვალწინ — ინფორმაციულად ახალი მასალითაც უხვს, ახალი დაკვირვებებითა და ვარაუდებითაც მიმზიდველს და ნოველური რანგის ბარათთა დახვეწილ გაგრძელებებს — მინიატიურების მომხიბლავ სერიასაც.

თუნდ რად ღირს ტატოს პირველი გატაცების — იდუმალებითმოცული ქალისადმი მიძღვნილი ჩანაწერი.

ან მეტსახელისადმი — თავყანა.

ანდა — „მერანის“ შთამაგონებელი მიზეზებისადმი.

ან კიდევ — თუ რომელი ლექსი იგულისხმება „მდაბიურად დაწერილში“: „მადლი შენს გამჩენს“ თუ „დამქროლა ქარმან სასტიკმან“.

ან ესეც — კნიაზ ბარათაევის ვინაობის ამოსაცნობად.

ანდა კიდევ...

ის ადამიანები, რომელნიც ნიკოლოზ ბარათაშვილის შესაძლო რომანში უნდა მიმოკარგულიყვნენ პროტოტიპებად, კანთიელად მოჩანან თავიანთი ბიოგრაფიული ქარგით.

სადაც გნებავთ გადაშალეთ ეს გამოცემა — „არტანუჯისათვის“ ნიშანდობლივი კიდევ ერთი ჩინებული პროექტი — უამრავ მივიწყებულს რომ წამოგიშლით და უცნობსაც არაერთს გაზიარებთ იმ ხელოვნებით, თვითმხილველის ნაამბობის მოსმენის ილუზიასაც რომ გაგიჩენთ.

მიჩვეულნი ვართ თამაზ ჯოლოგუასა თუ ნინო ვახანიასაგან, მათ ნაწერებს ვეცნობით თუ მათ საჯარო გამოსვლებს ვისმენთ, ისე თვალნათლივ მოტანას ჩვენამდე 32-იანელთა ეპოქისა თუ მის მონაწილეთა და იდეურ მემკვიდრეთა ცხოვრებისა, თითქოს მათივე თანამედროვეების მონათხრობს ვისმენდეთ, უწვრილმანესი დეტალებიც რომ შემოუნახავს მათ მეხსიერებას, თორემ ფსიქოლოგიურ პორტრეტთა მათეულ წარმოჩენას ხომ ენდობი და ენდობი.

და აი იმ ეპოქის საიმედო მეგზურთა შორის გვეგულება უკვე მაია ცერცვაძეც.

სხვათა შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილზე ბიოგრაფიული რომანის შესაქმნელად ერთ მტკიცე საყრდენადაც გამოდგება პირადი წერილების ეს ახალი პუბლიკაცია.

თუმც თავისთავად რა — პოსტმოდერნისტული ყაიდის ბიოგრაფიულ რომანად არ წარმოგვიდგება?!.

ასეც მოიხსენიებდნენ, ჟანრობრივად ზუსტად ასე განსაზღვრავდნენ, დასავლეთში რომ შექმნილიყო ამგვარი წიგნი.

ზოგიერთი თემა თუ საკითხი ჯერჯერობით ღიად რომ არის დარჩენილი?

არც ამით აკლდება რაიმე ამ წიგნს, ერთი დეტალითაც რომ აღარ შეივსოს, მის მხატვრულ-დოკუმენტურ მნიშვნელობას რა გაახუნებს, თუმც მკვლევარის ძიების დაუმცხრალ უნარს რომ ვიცნობთ, ახალი გამოცემისას კიდევ არაერთი რეალიით შეივსება თუ დაზუსტდება და ის უფრო დიდტანიანი გამოცემა ბუნებრივად გაამჟღავნებს ბიოგრაფიული რომანისათვის ნიშანდობლივ ამ თავისებურებასაც: ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ კიდეც შეივსოს და გადახალისდეს. აქ უფრო ხშირია ის პროცესი, რაც მხატვრული თხზულებების შექმნისასაც მოსალოდნელია, მაგრამ მაინც ნაკლებად.

საერთოდ კი:

ამას შეგვაგონებდა სწორედ ვახტანგ კოტეტიშვილი ამ ჟანრის თხზულების შექმნის მოწადინეთ, სავარაუდო ბიოგრაფიული რომანი კლასიკური ყაიდისა იქნება თუ პოსტმოდერნისტული: ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია, ამ სიტყვის ფსიქოლოგიური გაგებით, სწორედ ამ წერილებშიაო.

ეპისტოლური აღნაგობისა მარტოდენ ბელეტრისტული რომანი რატომ უნდა იყოს, ეს კომპოზიციური სტრუქტურა ბიოგრაფიულ რომანს ნაკლებად დაშვენდება თუ რა?!.

* * *

**ისე იკითხება, როგორც მერიმეს ნოველებიო...**

**ეგებ... ეგებ სტენდალის ხსენება უფრო შესაფერისი ყოფილიყო ჟანრობრივი თავისებურების გამო, მაგრამ პროსპერ მერიმეს ლანდიც ძალდაუტანებლად ამოჩნდება, რაკიღა ყოვლად შეუძლებელია, რომ იოსებ გრიშაშვილს ამ მხრივ რაიმე ეშლებოდეს.**



**როსტომ ჩხეიძე**

№171. ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 2016 წელი.

# დოლარები, მროკავები და პირდაფჩენილი „მაყურებელი“

„კაკაბეთის ზარების“ შემდგომ ამ ციკლის ერთ-ერთი მორიგი გადაცემით ტელეჟურნალისტები გოდერძი უშვერიძე და მინდია თავაძე მაყურებლის წინაშე ფრიად საინტერესო ნაწარმოებით წარსდგნენ: უჩვენეს, როგორ ამახინჯებდა მოზარდი თაობის სულს ქურდული სამყარო. ამ ორიდან დღეს ცოცხალი აღარც ერთი არ არის, თორემ ჩვენდა სამარცხვინოდ პენსიად ზუსტად იმავე თანხას მიიღებდნენ, რამდენსაც ის, ვინც თავისი ცხოვრებისეული მაგალითით ბიჭებს გვპარავდა.

დღეს 180-ლარიანი პენსიის მოლოდინით ცხოვრობს ტელევიზიიდან არც თუ სასიქადულო პერიოდში ასობით სხვა თანამშრომელთან ერთად უნამუსოდ *„ჩარეცხილი“* დიდბუნებოვანი ქალბატონი ნინო ქართველიშვილიც, რომელიც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ლეგენდად ქცეული *„კაკაბეთის ზარებისა“* და პირადად ჩემი ავტორობით შექმნილი ისეთი გადაცემების შეუცვლელი რეჟისორი გახლდათ, როგორიც იყო *„რისხვით შეკრული მუშტი,“ „მიწა, რომელიც იწვის“, „მივლინება ჯოჯოხეთში“, „სირცხვილისფერი ასკილი“* და მრავალი სხვა.

მერე რა, რომ თავად არავითარი პრეტენზია არ გააჩნია? მე მაინც გულახდილად ვიტყვი: ბედის მწარე დაცინვად მიმაჩნია, რომ, ზემოთქმულის მიუხედავად, მისთვის ტელევიზიის წინ დღემდე არც ვარსკვლავი გაუხსნიათ და არც ის არავის გახსენებია, რომ უამრავ *„ღირსეულთაგან“* ვინმეს ღირსების ორდენის გადაცემა მოეფიქრებინა, ან თუნდაც დამსახურებულის წოდება მიენიჭებინა.არადა, გულწრფელად რომ ვთქვა, ქალისაგან, თანაც ახალგაზრდა ქალისაგან, ყოველგვარ დღემდე გახმაურებულ გმირობას აღემატებოდა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ იმდროინდელი მისეული თავგანწირვა და შემართება.

*   *   *

კარგა ხნის წინათ მეგობრებთან ერთად დიდი დაკვირებით გავეცანი როგორც სიას, ისე იმ თანხებს, რომლითაც „ქართუ ბანკი“ ხელსუმართავდა და დღესაც უმართავს საქართველოს ინტელიგენციას. ამ სიებში ბევრი საამაყო სახელი, მათ შორის არაერთი ჩემი უახლოესი მეგობრის გვარი ამოვიკითხე, მაგრამ ფრიად გამიკვირდა, რომ ვერსად წავაწყდი ვაჟა გავაშელს, თუმცა, მას *„ქართუ ბანკის“* სულისჩამდგმელი არც თუ ცუდად იცნობს, რადგან არა თუ მის გუნდშია და მასთან ერთად იბრძოდა იმ დიდი კატაკლიზმისათვის, რომელიც 2012 წელს განხორციელდა, არამედ ფაქტობრივად მისი *„კარის მეზობელიცაა“.*

არადა, ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებო, ის მაინც არასდროს დამავიწყდება, რომ იმ 9 წლის მანძილზე, როდესაც საქართველოს ტელევიზიაში სამართლისა და მორალის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ვაჟა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესის სამსახურს თავკაცობდა და ცისფერი ეკრანიდან მაყურებელს შესთავაზა *„კაცი, რომელიც არ იძირება“, „თხუნელები“* და რამდენიმე სხვა ისეთი საეტაპო ნაწარმოები, რომლებითაც მიზანდასახულად გაგრძელდა *„კაკაბეთის ზარებისა“* და *„რისხვით შეკრული მუშტის“* მაგისტრალური ხაზი.აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ტელევიზიის მიერ სათანადო ტექნიკით აღჭურვის უაღრესი შეჭირვების პირობებში ზემოხსენებულ გადაცემათა ჯგუფს მან დიდი დახმარება გაუწია როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოშველიებული აუდიო და კინოაპარატურით, ისე საკუთარი მანქანითა და უანგარო თანადგომით.ჩვენთან მისი ამგვარი პირადი ურთიერთობითაც აიხსნება, რომ საქართველოს ტელევიზიის მიერ გამართული სასოფლო, სარაიონო და საქალაქო სახალხო ყრილობების მასალებზე დაყრდნობით, ნეგატიური მოვლენების აღმოფხრის მიზნით, ტელევიზიის მიერ გაჩაღებულ იმდროინდელ შეტევას საზღვარგარეთულმა პრესამ საბჭოურ სივრცეში გადადგმული პირველი დემოკრატიული ნაბიჯები უწოდა, ხოლო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების მაშინდელმა უმაღ-



ლესმა ხელმძღვანელებმა კი ოფიციალურად აღიარეს, რომ ზემოხსენებულმა გადაცემებმა საზოგადოებისათვის გაცილებით სასიკეთო და შორსმიმავალი რეალური შედეგები მოიტანეს, ვიდრე მათი უწყებების ყველაზე ძვირად ღირებულმა და რიცხვმრავლობით გამორჩეულმა ოპერაციებმა.

ხელი გამირბის, ფურცელზე დავაფიქსირო ჭეშმარიტად სკანდალური ამბავი, რომელიც უკავშირდება გადაცემას *„კაცი, რომელიც არ იძირება“.*

გადაცემა ეყრდნობოდა უზუსტეს და როგორც ავტორის, ისე ტელევიზიის სათანადო სამსახურის მიერ მრავალგზის გადამოწმებულ მამხილებელ მასალებს იმ ეგრეთ წოდებულ *„ბაზარნიკზე“,* რომელმაც მოქრთამვითა და დღემდე კვლავ ფართოდ გავრცელებული ნათელ-მირონობით მრავალი დანაშაულის კვალი წაშალა, მათ შორის მოახერხა მკვლელობის მცდელობის პასუხისმგებლობიდან თავის გადარჩენაც.იგი გადაცემის შემდგომაც შეეცადა, არ *„ჩაძირულიყო“.* ნათელ-მირონების დახმარებითა და მავანთა მოსყიდვით საქართველოს ისე მალე აწვია საკავშირო პროფკავ-



1979 წლის 17 ოქტომბერი, სოფელი კაკაბეთი. სახალხო ყრილობის დაწყების სამზადისი. კადრში გადაცემის რეჟისორი ნინო ქართველიშვილი, ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რეჟისორი ოთარ თალაკვაძე და ალექსანდრე შენგელია.

შირების მიერ გამოგზავნილ შემმოწმებელთა საგანგებო ჯგუფი, რომ ზემოხსენებული გადაცემის ავტორის, რეჟისორისა და სხვა შემოქმედებითი მუშაკებისთვის კუთვნილი ჰონორარი ჯერ კიდევ არ მქონდა გამოწერილი.

მავანთა მონდომებით თბილისში მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულმა საკავშირო პროფკავშირების წარმომადგენლებმა საგულდაგულო შემოწმების შემდეგ გადაცემაში ვერავითარ სადავო დეტალს ვერ მიაგნეს, რათა მის *„ავტორებს“* შეგვდავებოდნენ და კაცი, რომელიც მანამდე არასდროს ჩაძირულა, ამჯერად სამართლიან მსჯავრს ველარ გადაურჩა.

შემთხვევით არ ვიხსენებ ზემოხსენებულს.

იუმორით გაძეძგილმა გიზო ნიშნიანიძემ, რომლის მოადგილე ვიყავი გაზეთ *„თბილისში“* ინფორმაციის განყოფილებაში მისი მუშაობისას, როცა გამორჩეულად საინტერესო თავისი ერთ-ერთი წიგნი მომიძღვნა, წარწერით: *„ჩემს ალექსანდრეს, რედაქციაში ერთობლივი მრავალწლოვანი კატორღული შრომის აღსანიშნავად“.*

ტელევიზიაში, მით უფრო ამასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელად მუშაობა ვაჟა გავაშელისთვის ქანცგამწყვეტი კი არა, სწორედ რომ კატორღული შრომა გახლდათ, მაგრამ ამის საფასურად მას არც მახლობლის, არც მეგობრის, არც მეზობლისა და არც ხელმძღვანელისგან საზღაურად არასოდეს არაფერი მოუთხოვია.

*   *   *

კვლავაც განვაგრძობ იმით, რითაც დავიწყე.

სატელევიზიო გადაცემაში, რომელსაც *„მოიპარეს ბიჭები“* ერქვა, ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ მოზარდ თაობას რყვნის იმ ფუფუნების ყურება, რომელსაც მავანი უკანონოდ დაეუფლა.

ამ გადაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, 1979 წლის 17 ოქტომბერს კაკაბეთში, შინმოუსვლელთა მემორიალის იმ საფლავთან, სადაც ამ სოფლისთვის უსაყვარლესი ობოლი და შინმოუსვლელი იმ ბიჭის სამუდამო განსასვენებელია, ომის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ ბელორუსმა ახალგაზრდებმა სრულიად შემთხვევით რომ აღმოაჩინეს და საქართველოში საგანგებოდ ჩამოასვენეს, წარმოშობით ბოდბისხეველმა ავლიპ ზურაბაშვილმა კაკაბელებს შესტირა: *„ძვირფასო მეზობლებო, კაკაბელებო! ჩემმა ბავშვობამ გაიარა დედულეთში, აქვე, თქვენს მახლობლად, სოფელ შიბლიანში. ეს რა უბედურება დაგემართათ, რომ თქვენს მეზობელს ფულის გამოძალვის მიზნით ჰყავდა მოტაცებული და გადამალული 12 წლის ბიჭი?“.*

მახსენდება გარეკახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დაბადებული და აღზრდილი დიდი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის სიტყვებიც, რომელიც ყველა სხვისაგან განსხვავებით იმ უაღრესად ღირსსახსოვარ დღეს ზეპირად კი არ წარმოუთქვამს, არამედ ფურცელზე ჰქონდა საგულდაგულოდ ჩაწერილი და წაიკითხა.

მე დღესაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები ამ გაყვითლებულ და გაცრეცილ ფურცლებს.მით უფრო, რომ მასში უამრავ სხვასთან ერთად იმ კითხვის პასუხიც არის, ბატონ ავლიპს რომ აწუხებდა და დღესაც ბევრს აწუხებს.

ყური მიუგდეთ და თავად განსაჯეთ, არის თუ არა ასე?

*„სიცრუე ბადებს სიცრუეს, დანაშაული — დანაშაულს! — სანამ ჩვენს გვერდით ფასი ექნება პარვით აღზევებულთ, სანამ ამ მპარავთ, იოლად გამდიდრებულთ, საშუალება ექნებათ პარპაშისა, ათასებისა და ათიათასების თვალწინ, ყოველთვის იქნება მოსალოდნელი ყოველი სახის უსაშინელესი დანაშაულებანიც.*

*წინ აღვუდგეთ, აღვკვეთოთ თითქოსდა ეს უმტკივნეულო პარპაში და აღვკვეთავთ მძიმე დანაშაულებებსაც!*

*ნუ გავუწვდით სირცხვილის ჭუჭყით მოსვრილ ხელს ჩვენს კაცურ მარჯვენას და თუ გავუწვდით, ამ ჭუჭყიანი ხელის პატრონმა იგრძნოს, რომ მოვიდა მისი ავკაცობის შემმუსვრელი ძალა“.*

მახსენდება საკმაოდ დიდი ხნის წინათ უცხოეთში გადაღებული და საქართველოში ფართოდ გახმაურებული სიუჟეტი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს, თუ საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ყოფილი დეპუტატი ხელში კი არ ატრიალებდა, არამედ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ცეკვავდა და თელავდა იატაკზე საგანგებოდ ამ მიზნით დაფენილ ათიათასობით მწვანე დოლარს. ამიტომ დღეს, როდესაც ამ უზნეობის მაყურებელი და ბანის მიმცემი ცდილობს, თავის გუნდთან ერთად შევიდეს პარლამენტში, საიდანაც წლების წინათ მისი ყოფილი თანამეინახე სამარცხვინოდ გამოაძევეს, მას და მის ამფსონებს არა მარტო მე არ მივცემ ხმას, არამედ მეგობრებსა და ნაცნობებსაც ვურჩევ, მხარი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ.

ეს თუნდაც იმიტომ, რომ პიროვნულად ვერასდროს ვერაფრით გაუტოლდება საქართველოს ჭეშმარიტ ბულბულს, საოცრად დახვეწილი ზნეობის კაცს ჰამლეტ გონაშვილს.

არასდროს დამავიწყდება მისი ცხოვრებიდან ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი,რაც გამორჩეულად თუნდაც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ უშუალოდ ჩემთან არის დაკავშირეული, თანაც მისი სულიერი სიწმინდის მკაფიოდ წარმომჩენი შტრიხია.

გუშინდელ დღესავით მახსოვს: მისი თანამეინახე მეზობლების თხოვნას, გვიმღერე რამეო, მან ქიზიყური პირდაპირობით, თან მთელი სუფრის გასაგონად უპასუხა: *„ამ თხოვნის უფლება მხოლოდ ჩვენს სტუმარსა აქვს, იმ გადაცე-*



ვაჟა გავაშელი (მარცხნიდან მეორე) სამართლისა და მორალის განყოფილების მუშაკებთან – მერაბ ხაჩიძესთან, სოსო ტყებუჩავასთან და ალექსანდრე შენგელიასთან ერთად.

*მის ავტორს, რომელსაც „ვენდოთ ანაგელებს“ ერქვა! იგი ჩვენს რაიკომის მდივანს, ბატონ თამაზ ქევხიშვილს საქეიფოდ სიღნაღში არ გაჰყვა, მოუბოდიშა: ჰამლეტს დავპირდი, ანაგაში წაგყვები და სიტყვას ვერ გავტეხავო“.*

მას რომ ვიხსენებ, ახლაც ყურში ჩამესმის მის მეგობრებთან ერთად იმ საღამოს ჩემი თხოვნით შესრულებული *„წინ წყარო“* და მაგონდება, სრულიად მოულოდნელად როგორ დაიღუპა ეს ალალი და ყოველმხრივ გულმართალი კაცი, როცა შეეცადა, მეზობლისათვის მიცემული სიტყვა არ გაეტეხა და მისი ეზოდან გადასული ხის ტოტები წაესხიპა...

* * *

**შემთხვევით** არც კაკაბელი ობოლი ბიჭი გამხსენებია, არც მის სამუდამო განსასვენებელთან გამართულ სახალხო ყრილობაზე რეზო ინანიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები, არც საოცარი ხმისა და ზნეობის მქონე ჰამლეტ გონაშვილი და კეთილად მოსახსენებელთა ამ ფონზე არც ქურდობას დანატრებული ყოფილი ბიჭბუჭები, რომელთაგან უდიდესმა უმრავლესობამ სწორ გზას მიაგნო და კაცადაც ჩამოყალიბდა.

ჩვენდა სავალალოდ, დარჩნენ ისეთებიც, რომლებმაც დანაშაულთა ლაბირინთს თავი ვერ დააღწიეს და *„ნულოვანი ტოლერანტობის“* შიშით ქვეყნიდან გადაიხვეწნენ. მათთან დაკავშირებით დღეს საზღვარგარეთიდან ოფიციალურად მოდის საგანგაშო სიგნალები. მათ შორის ისეთი ვიდეოჩანაწერებიც, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

მათი საქციელი სახელს უტეხს საქართველოს და ბევრ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას უქმნის ჩვენს იმ თანამემამულეებს, რომლებისთვისაც უცხოეთში მუშაობა ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიანთი უმძიმესი, არც თუ იშვიათად შეურაცხმყოფელი, მაგრამ ძირის ძირამდე პატიოსანი შრომით როგორმე არჩინონ სამშობლოში ულუკმაპუროდ და უსასოოდ დარჩენილი ოჯახები.

ამას ხაზგასმით იმიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის, ქართველი ერისა და მისი გამორჩეული ზნეობის გადასარჩენად დღეს განსაკუთრებული აუცილებლობაა ადამიანებში ადამიანურობის შენარჩუნება.

ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ესეც გვავალდებულებს, ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქროთ *„ძე-შეცდომილებზე“* თუნდაც იმიტომ, რომ პოეტი არც თუ შემთხვევით შეახსენებს ჩვენს სამშობლოს *„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“*

არსებობს კი იმის შესაძლებლობა, რომ შვილები არ დავკარგოთ?

საბედნიეროდ, არსებობს, ნამდვილად არსებობს, თუ ხელი არასდროს აგვიკანკალდება მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ზუსტი ორიენტირებისთვის ნიშანსვეტის შერჩევისას.

ამ ნიშანსვეტად ჭეშმარიტ ერის კაცთა და ერის სახელოვან მანდილოსანთა კაცობისა და ქალობის პირადი მაგალითი უნდა გახდეს და არა მავანთა მიერ ხალხის თვალწინ გამომწვევად აფრიალებული მწვანე დოლარები, ამ დოლარებზე მროკავები და პირდაბჩენილი მაყურებლები!



**ალექსანდრე შენგელია,**
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ღირსების ორდენოსანი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე

# „საერთაშორისოდ აღიარებულ ქულათა სისტემა ურჩ მძღოლებს მოარჯულებს“



**ევროკავშირის ტრასეკას პროექტის ექსპერტი გელა კვაშილავა აცხადებს, რომ საზოგადოებას თავისი აქტიურობით ავტოავარიების ეპიდემიის შეჩერება შეუძლია. თუმცა, არც ერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამაში საგზაო უსაფრთხოების, ზოგადად, ტრანსპორტის, პარკინგისა და მობილობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება არ არის გათვალისწინებული. როგორც ჩანს, ჩვენი პოლიტიკოსებისთვის ეს საინტერესო თემა არ არის.**

For.ge **გელა კვაშილავას** ესაუბრა.

**— ჩვენი სახელმწიფო ასეულობით მილიონ ლარს ხარჯავს საგზაო შეჯახების შედეგად ტრავმირებულთა რეაბილიტაციისთვის. ბოლო ათ წელიწადში მილიარდზე მეტი ლარი ჩაიდო გზების რეაბილიტაციაზეც, თუმცა ახლად რეაბილიტირებულ გზებზე ავტოავარიების შემთხვევები მატულობს და ამ მაჩვენებლით ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე ერი ვართ. რა არის ამის მიზეზი?**

— საქართველოში არის სამი ტიპის გზა: საერთაშორისო დანიშნულების, შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზები. სამივე დონის გზის რეაბილიტაციისთვის დიდი თანხები იხარჯება. თუმცა უსაფრთხოების სტანდარტების კუთხით ყველაზე საიმედო საერთაშორისო დანიშნულების გზებია. ეს არის ავტომაგისტრალი, რადგან დონორების აუცილებელი მოთხოვნაა, უსაფრთხოების აუდიტის ჩატარება და ამ აუდიტის მიხედვით გზების განახლება. საგზაო შემთხვევების ან შეჯახებების 80% მაინც ქალაქში ან ქალაქიდან გამავალ გზებზე ხდება. წინა წელთან შედარებით ამ შემთხვევებმა 16%-ით მოიმატა თბილისში, საუბარია გარდაცვალების ფაქტების 6%-ით, ხოლო დაშავებულთა რიცხვის 10%-ით მატებაზე. ამიტომ გზების შეკეთებასა და ასფალტის დაგებასთან ერთად მნიშვნელოვანია საგზაო უსაფრთხოების აუდიტის ჩატარება. ეს გულისხმობს საგზაო ნიშნების, ქვეითთა ტროტუარების, გადასასვლელების მოწყობას. ის ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ამ გზების შეკეთებას ახორციელებენ, დღემდე 30-40 წლის წინანდელი სტანდარტებით სარგებლობენ. ჩვენს ქალაქებში მაღალია მოძრაობის სიჩქარე, საუბარია 50-60 კილომეტრ-საათზე, ამას ემატება კიდევ 15 კილომეტრ-საათი. მართალია, ზოგიერთ სკოლასთან, სადაც ბავშვების ფაქტორია გასათვალისწინებელი, ოფიციალურად დასაშვები სიჩქარე 40 კილომეტრ-საათია, მაგრამ ამას ემატება კიდევ 15 კილომეტრ-საათი. ამდენად, ხალხმრავალ ადგილებში სიჩქარის კონტროლი უნდა განხორციელდეს. ჩვენთან სხვადასხვა ადგილებში სიჩქარე სხვადასხვანაირია. მაქსიმალური სიჩქარე დედაქალაქში 50 უნდა იყოს, ხოლო სკოლებთან 30 კილომეტრ-საათი.

ჩვენში სიჩქარის კონტროლის მექანიზმები არ არის აქტიურად ამოქმედებული. მართალია, არსებობს რამდენიმე ვიდეოკამერა, მაგრამ არის ადგილები, სადაც საღამოს საათებში 80 კილომეტრ-საათით შეუძლიათ გადაადგილდნენ. ასეთი რამ თავიდან უნდა ავიცილოთ. განსაკუთრებით გამსახურდიაზე, აღმაშენებელზე და სხვაგანაც ინფრასტრუქტურა კარგად უნდა იყოს მოწყობილი, რომ მძღოლებმა ნათლად დაინახონ, რომ ეს არის ქვეითთა ზონა. მათ უნდა იცოდნენ, რომ არსებობს კონტროლის მექანიზმები.

**— თქვენ აცხადებთ, რომ სტანდარტების კუთხით ყველაზე უსაფრთხო საერთაშორისო დანიშნულების გზებია, რადგან ეს დონორთა აუცილებელი მოთხოვნაა. გამოდის, ძირითადად დონორთა კმაყოფილებაზე ვზრუნავთ და სხვა ტიპის გზები დაუცველია?**

— საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ გზაზე პასუხისმგებელია საგზაო დეპარტამენტი, სადაც საამისო ადამიანური და სხვა რესურსიც გააჩნიათ, რომ ეს გზები შედარებით უსაფრთხო იყოს. თუმცა, მთლიანობაში, გზების 70-80% ადგილობრივი გზებია. ზუსტად ამ ადგილობრივ დონეზეა კომპეტენციის პრობლემები, სხვადასხვა სამინისტროს შორის ნაწილდება ფუნქციები, მათ შორის, შუქნიშნების დამონტაჟება, გზების კეთილმოწყობა და სხვა. ეს უფრო ინსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემებია. მაგალითად, რაიონების ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ცენტრის გარეშე ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლიათ. ამიტომ, პირველ რიგში, კანონმდებლობა უნდა მოწესრიგდეს, რომ გორში, ქუთაისში, თბილისში ადგილობრივ ხელისუფლებას გზების უსაფრთხოების კუთხით მეტი უფლება ჰქონდეს. ამასთან, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ინჟინრების გადამზადება უნდა მოხდეს და ისე უნდა დაიგოს გზები, რომ ორიენტაცია მარტო მანქანის სწრაფად გადაადგილება არ იყოს.

გარდა ამისა, პარკინგის პრობლემებია, მანქანები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტი აჩერებენ პირველ-მეორე ზოლში, რაც ხილვადობის პრობლემას ქმნის. არის შემთხვევები, როცა ქვეითის წინ დგას მანქანა, ხილვადობა დაკარგულია, ქვეითი გზაზე გადადის და ამ დროს მეორე მხრიდან გამოდის სხვა მანქანა. ინფრასტრუქტურას, პარკინგის მოწესრიგებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილების გამოყოფას სჭირდება ძლიერი ინსტიტუციური მართვა, რაც ტრანსპორტის სამსახურმა უნდა განახორციელოს, სადაც უნდა შევიდეს ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის სამსახურები.



**— დასავლეთში უკეთესად რეაბილიტირებული გზებია. საქართველოს მსგავსად, იქაც მანქანების ბუმია, თუმცა ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად საქართველოში ევროპასთან შედარებით ბევრად მეტი, 600-მდე ადამიანი იღუპება. როგორც ჩანს, აქ კიდევ სხვა პრობლემებია.**

— ეს იმიტომ ხდება, რომ უცხოეთში საგზაო უსაფრთხოების კუთხით არსებობს კონკრეტული პასუხისმგებელი ერთი ორგანიზაცია და იქ გაწერილია კონკრეტული პროგრამები.

**— ანუ საგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვალების ფაქტებზე ვიღაცამ პასუხისმგებლობა საქართველოშიც უნდა აიღოს?**

— დიახ, კონკრეტულად ვინმე უნდა იყოს პასუხისმგებელი. ამ დროს კი, ჩვენთან ელემენტარულ რამეზე საუბრობენ, რომ თბილისის ქუჩებში საგზაო ნიშნები არ ჩანს, ხეები ეფარება. არის ადგილები, სადაც მძღოლს ფიზიკურად არ შეუძლია დაინახოს მოსახვევი, რადგან რაღაც პერიოდი ხეები უშლის ხელს. ამ ხარვეზების გამო ყოველდღიურად პასუხისმგებელი უნდა იყოს კონკრეტული ორგანიზაცია. ასეთი ინსტიტუტი უნდა არსებობდეს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. მართალია, ერთი თვის წინათ პრემიერმა საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია დაამტკიცა, მაგრამ ამ სტრატეგიაში კონკრეტულად უნდა გაიწეროს, რატომ იღებს ორი ათასი ქვეითი ტრავმას? ე.ი. რაღაცაშია საქმე. ამიტომ უნდა დასახონ ქვეითთა ტრავმატიზმის შემცირება 5-10%-ით და ამ მიზნით შავი წერტილების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს.

ახლა კი ეს ფუნქციები გაბნეულია სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის.

**— როგორც ვიცი, პარლამენტში საგზაო უსაფრთხოების პროექტი წარადგინეთ, თუმცა ეს პროექტი „გაიჭედა“.**

— პარლამენტში შეტანილი ჩვენი პროექტი საერთაშორისოდ აღიარებული ქულების სისტემის, მოძრავი კამერების შემოღებას გულისხმობს. ჩვენთან ასეთი სისტემაა, რომ მძღოლი სიჩქარის გადაჭარბებაზე იხდის გარკვეულ ჯარიმას და შემდეგ ისევ ატარებს მანქანას. ამ დროს კი, ყველა ქვეყანაში მიდგომა ასეთია, თუ ურჩი მძღოლი მოძრაობის წესებს ხშირად არღვევს, მას მართვის მოწმობა ჩამოერთმევა გარკვეული პერიოდით და, თუ ისევ დაარღვევს, საერთოდ ეკრძალება მანქანის ტარება. ჩვენთან მძღოლები ამაზე გადაირევიან, მაგრამ მარტო თავის თავს ხომ არ აგდებენ ხიფათში? საერთაშორისოდ აღიარებულ ქულათა სისტემა ურჩ მძღოლებს მოარჯულებს, რაც, ფაქტობრივად, ღამის საათებში მიშვებულია. ეს კანონი ცხრა თვეზე მეტია პარლამენტშია, ერთი პერიოდი კარგად მიდიოდა ამის განხილვა, მაგრამ შემდეგ რატომღაც შეჩერდა და არ ვიცით ამის მიზეზი.

**— თქვენი პროექტი მსხვერპლთა რაოდენობას გაანახევრებდა?**

— რასაკვირველია, 30-40%-ით შემცირდება მსხვერპლთა რაოდენობა ქულების სისტემით, მოძრავი კამერებით. რაც მთავარია, სკოლებში პირველი კლასიდან უნდა დაინერგოს საგზაო უსაფრთხოების სწავლება. ბავშვმა უნდა იცოდეს, დღისა და ღამის საათებში როგორ გადაადგილდეს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენთან ახლა მილიონზე მეტი მანქანაა.

**— პოლიტიკური პარტიების პროგრამაში ეს საკითხი არაა ჩადებული. არადა, ეს პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიასთან.**

— მათი პროგრამები ამას არ ითვალისწინებს, მაშინ, როცა საგზაო შემთხვევები 15-დან 29 წლამდე ადამიანების გარდაცვალების ძირითადი მიზეზია. უამრავი ოჯახი კარგავს მარჩენალს. აქ განათლების ნაკლებობაცაა, ადამიანი ფიქრობს, მე მაგარი ვარ და ასეთი ტრაგედია არასდროს დამემართება. არადა, საგზაო მოძრაობა ისეთია, რომ ყველანი ვართ ჩართული ამ პროცესში. მთავარი ის კი არ არის, ასფალტი დავაგოთ და გზა გავაგანიეროთ. პირიქით, ასფალტი და განიერი გზა, საგზაო ნიშნების გარეშე, უფრო საშიშია, ვიდრე ორმოებიანი გზა. რაც უფრო განიერია ქუჩა, მძღოლი ფიქრობს, რომ უფრო ჩქარა შეუძლია გაატაროს. ფაქტობრივად, საგზაო-სატრანსპორტო შეჯახებების 40% მოდის ახალბედა მძღოლებზე, პირველი ორი წელი ვინც ატარებს მანქანას. მართვის მოწმობის სისტემაც უნდა დაიხვეწოს. თეორიული ცოდნა გასაგებია, მაგრამ უფრო მეტი პრაქტიკული დავალებები უნდა იყოს, თორემ მიმღებთა დიდ ნაწილს რუსთავიდან მანქანის ჩამოყვანა უჭირს. ახალბედა მძღოლი იბნევა. ამიტომ ღამის საათებში სიჩქარეს თუ გადააჭარბებს, უფრო მკაცრად უნდა მოსთხოვონ, რადგან ის ახალბედაა.

**მანანა ნოზაძე**



# ქართული თეატრის ენციკლოპედია

## ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს!

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს მუშაობა ფუნდამენტურ ნაშრომზე – „ქართული თეატრის ენციკლოპედია“, მაგრამ, სამწუხაროდ, იმთავითვე ისეთი პრინციპული შეცდომა იქნა დაშვებული, რომ ახლა მთელი ჩვენი ძალისხმევა მის აღმოსაფხვრელადაა მიმართული. საქმე ისაა, რომ ჩვენი ძვირფასი კოლეგები ამ უდიდეს ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმეს ბავშვური მიამიტობით შეუდგნენ, საერთოდ, არ თუ ვერ გაითვალისწინეს ენციკლოპედიის სპეციფიკური თავისებურებანი და ქართული თეატრის გამოჩენილ ოსტატებზე ჩვეულებრივი, საგაზეთო-საჟურნალო სტატიების წერას მიჰყვეს ხელი, რაც მათთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა – ისინი ხომ ამ მხრივ ნამდვილი პროფესიონალები არიან! ამ საერთო პატრიოტულ შემართებაში, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, არავის არ გახსენებია, რომ ნებისმიერ ენციკლოპედიაზე, უნივერსალური იქნება იგი თუ დარგობრივი, ფიქრის წამოსაწყებად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ე.წ. „სიტყვანი“, ანუ მომავალი გამოცემის, არც მეტი, არც ნაკლები, პროსპექტი, პოპულარულად რომ ვთქვათ, დაწვრილებითი გეგმის შედგენა, რასაც, მაგალითად, პირველ ქართულ ენციკლოპედიას („ქსე“) მოსამზადებელ პერიოდში მთელი... ათი წელი დასჭირდა.**

**თუ „სიტყვანი“არ გაქვს წინასწარ, საგულდაგულოდ შედგენილ-გააზრებული, რომ იტყვიან, მისხალ-მისხალ, ეს იგივეა უბალავროდ, პირდაპირ მიწის ზედაპირზე შეუდგე აგურების წყობას და სახლის შენებას, ხუხულასავით დაგენგრევა ყველაფერი და აკი მოხდა კიდეც ასე ჩვენს სინამდვილეში – წყალში ჩაიყარა უნაყოფო, უაზრო შრომა, დრო, თანხები...**

**მეორე პრინციპული შეცდომა იყო ტერმინებსა და ავტორების ხელისმოწერაზე უარის თქმა, რაც იმდენად აბსურდულია, რომ არც ღირს საუბრის გაგრძელება... იყო სხვა ხასიათის შეცდომებიც: დაბადებისა და გარდაცვალების ადგილის, დღის, თვისა და (წარმოუდგენელი მკრეხელობა!) მამის სახელის ამოღება. როგორ, სოფიკო ჭიაურელზე იქვე არ უნდა ითქვას, რომ ის მიხეილ ჭიაურელის ქალიშვილია და რომელი ერთი მაგალითი მოგიტანოთ! ჯობს გვიან, ვინემ არასდროსო – სწორედ ჩვენს უნივერსიტეტზეა ნათქვამი და აი, ღვთის მადლით, არსებითად, ხელახლა შევუდექით საქმეს.**

**„სიტყვანი“, სხვათა შორის, ულმობელი „მაკრატელიცაა“ – იგი ზუსტად განსაზღვრავს სტატიის მოცულობას, ვისზე რამდენი პოლიგრაფიული ნიშნის ფართია გამოსაყოფი, მხოლოდ ტრადიციული კრიტერიუმები ( სახალხო არტისტს – ამდენი, დამსახურებულს – იმდენი და ა.შ.) აღარ გამოდგება, დროის დისტანციიდანაც უნდა გავხედოთ ხელოვანის იერსახეს – ერთ დროს, კონკრეტულ ეპოქის პოპულარული სახელიდან რა შემორჩა ისტორიას, რით არის ესა თუ ის მოღვაწე დღეს საინტერესო და ა.შ. ყოველივე ეს რთული საკითხია და ჩვენი კოლეგიის წარდგენით მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. იგივე ითქმის ილუსტრაციებზეც – ფოტოსთან ერთად რამდენი სცენა სპექტაკლიდან თუ კადრი ფილმიდან შეიძლება იყოს ცნობილ მსახიობზე და ა.შ. და ა.შ. რაც შეეხება ავტორებს, ძირითად ტექსტში შესაბამისი სტატიის ბოლოს იქნება მხოლოდ ინიციალები, რომლებიც გაიშიფრება გამოცემის ბოლოს, ხოლო თუ სტატიას საერთოდ არ აწერია ავტორი, იმას ნიშნავს, რომ მასალა სარედაქციო კოლეგიაში მომზადდა.**

**ძვირფასო მკითხველო, ამ კეთილშობილურ საქმეში ფასდაუდებელი შეიძლება გახდეს თქვენი დახმარება – ჩვენს ერთადერთ სათეატრო ჟურნალში („თეატრი და ცხოვრება“, რედ. გ. ბათიაშვილი) უკვე გამოვაქვეყნეთ (2016, №1) დღეისათვის არსებული სრული სია იმისა, თუ ვისზე და რაზე იქნება საუბარი ენციკლოპედიის პირველსავე განყოფილებაში (იგულისხმება ასო-ბგერა „ა“), ახლა კი თვით ტექსტის რამდენიმე ნიმუშს გთავაზობთ და დაბეჯითებით გთხოვთ, გაგვიზიაროთ შთაბეჭდილება. ამ ეტაპზე მთავარია იმის გარკვევა, თუ როგორ მოგწონთ თავად ეს მოდელი ენციკლოპედიის სტრუქტურისა, იგი ემყარება ივ. ჯავახიშვილის გამოცემებსა და პირველ ქართულ ენციკლოპედიას („ქსე“), რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა ბ-ნი ირ. აბაშიძის რედაქტორობით.**

**ამ მოდელს შეიძლება (და, ალბათ, ასეც მოხდება) ტექსტობრივად დაემატოს ან გამოაკლდეს (შეიკვეცოს და ა. შ.) ზოგი რამ, მაგრამ თვით კონფიგურაცია მისი უცვლელი დარჩება ყველა თავისი უამრავი, სწორედ ენციკლოპედიისთვის დამახასიათებელი, პროფესიული ნიუანსით (საინფორმაციული მასალის მოწოდების ქრონოლოგიური, ანუ თანმიმდევრული, პრინციპი, ძირითადი ტექსტისა და ე. წ. სამეცნიერო აპარატის შრიფტის ზომის სხვადასხვაობა, წინასწარ გამოცხადებული აბრევიატურისა და შემოკლების სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რუბრიკას – „ლიტერატურა“, რითაც მკითხველს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალება ეძლევა, კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს დასმული საკითხი და მისთ.). აი, ამ თვალსაზრისით გვჭირდება თქვენი რჩევა-რეკომენდაციები, ძვირფასო მკითხველო, კოლეგებო, ოპონენტებო, რათა დაკანონდეს ენციკლოპედიურ გამოცემათა, ზოგადად და მოკლედ თუ ვიტყვით, კლასიკური ფორმა და სტილი, ამით კი კატეგორიულად აიკრძალოს ყოველგვარი ვოლუნტარიზმი, ურომლისობასაც, სამწუხაროდ, არ განიცდის ჩვენი სინამდვილე...**

**ასეთია ჩვენი მანიფესტი, ანუ იმ შემოქმედებითი პრინციპების წერილობითი გადმოცემა, რითაც ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას ქართული თეატრის პირველ ენციკლოპედიაზე – იგი ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს!**

**გვწამს თქვენი გულისხმიერებისა, ველით გამოხმაურებას და წინასწარვე გიხდით მადლობას.**

**ულრმესი პატივისცემით**
**პროფ. გ. დოლიძე**
**გამოცემის სარედაქციო კოლეგია**
**email: dolidze1934@mail.eu**
**ტელ: +995 577 288 734; 599 565 170; +995032 2395082.**



**ა ბ ა კ ე ლ ი ა** გრიგოლ (იგა) კონსტანტინეს ძე (20. XII. 1939, თბილისი) – მხატვარი.

დაამთავრა **თსკ** (1966), ხოლო 1974 – **თსსა**. 1966-75 იყო თბილ. I სამუსიკო სასწ. პედაგოგი, 1975–86 – გ. მიქელაძის სახ. სახელმწ. თოჯინების თ-რის მხატ., 1981-2007 – მთ. მხატ. 1989-2005 შეთავსებით მუშაობდა მთ. მხატვრად ახალციხის თოჯინების პროფესიულ სახელმწ. თ-რში, სადაც 11 სპექტაკლი გააფორმა: „წითელქუდა“, „ნატვრის კუნძული“, „ბატის ჭუკი“, „ოხერტიალა“, „თხუპნია“, „ბუტია“, „ზარმაცი გიგო“, „ოქროს წიწილა“, „ნაცარქექია“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „რწყილი და ჭიანჭველა“. ამ უკანასკნელის პრემიერა გაიმართა 9. VI. 1990, იმავე წელს სპექტაკლმა საპატიო სიგელი დაიმსახურა ბულგარეთში.

1986-2007 გ. მიქელაძის სახელმწ. თოჯინების თ-რში გააფორმა: ლ. ლოპეისკაიასა და გ. კრჩულოვას „პატარა წერო და საფრთხობელა“, გ. პეტრიაშვილის „თეთრსულელა“, ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, მ. აბრამიშვილის „ეთერიანი“ და „გოგონა ციდა ყვავილების ქვეყნიდან“, ი. ოშნიცას „მწვანე ქოლგა“ (1989 დაჯილდოვდა სსრკ კულტ. სამ-სა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის დიპლომით); ჭიათურის დრამ. თ-რში კი: რ. მამულაშვილის „მეათე მესამე“ (1975) და ჩხაიძის „თავისუფალი თემა“(1976). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

***თხზ.:*** თანაავტორი პიესისა „რწყილი და ჭიანჭველა“ რეჟ. ნ. იონათამიშვილთან ერთად.

***ლიტ.:*** გოგიშვილი რ., პროფესიული ოსტატობით, გაზ. „გამარჯვება“ (ქ. გორი), 20. III. 1980; ბერძენიშვილი ნ., როცა ნოტები ფერებად იღვრება, „სრ“, 22. XI. 2006; Цибер К., Лёгкое дыхание, газ. „Свободная Грузия“ 18. XI. 2006.

**ა გ უ მ ა ა** ქიაზიმ ყარამანის ძე (18.IV.(1.V). 1915, სოფ. ღვადა, ოჩამჩირის რ-ნი 010.XII.1950, სოხუმი) – აფხაზი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1934. პირველ ლექსებს მალე მოჰყვა პოემები („ტარიელ რაშბა“, „ბალადა სალამურზე“) და მოთხრობები („დაუღვრელი ცრემლები“, „ტყვე“). მისი ლექსები ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი პოეტების თარგმანითა და რედაქციით აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის თბილისში, 1971. თარგმნილი აქვს ქართველი პოეტების ლექსები, სომხ. ეპოსი „დავით სასუნცი“, ტ. შევჩენკოს პოემა „სიზმარი“ და სხვ.

**ა**-ს მოსვლა დრამატურგიაში იყო იმ ნაცადი შემოქმედებითი თანამშრომლობის გაგრძელება, რომელსაც ასე ნაყოფიერად წარმართავდნენ აფხაზური დრამის ცნობილი რეჟისორები ა. აგრბა და შ. ფაჩალია ადგილობრივ ავტორებთან, რათა მაყურებლისათვის დროულად მიეწოდებინათ ახალ-ახალი პიესები თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ სწორედ ფრონტელ პოეტ ქ. აგუმაასთან (იგი 1939-44 წითელი არმიის რიგებში იმყოფებოდა და ბელარუსიის ტყეებში იბრძოდა ჩაპაევის სახ. პარტიზანულ რაზმში) შემოქმედებითი თანამშრომლობით განახორციელა გამოცდილმა რეჟისორმა შ. ფაჩალიამ (ერთ-ერთ როლს თავადაც თამაშობდა) ფაშისტებთან ბრძოლის მრისხანე დღეებში უაღრესად პატრიოტული, 4-მოქმედებიანი სპექტაკლი „დიდი მიწა“ (მხატ. ი. კაიმოვი, მუსიკა ა. პოზლეევისა. პრემიერა – 23. III. 1945). მოგვიანებით პიესა ითარგმნა რუსულად და შევიდა მის კრებულში.

თხზ. „Родная земля“, Сух., 1962.

***ლიტ.:*** „ქსე“, 1975, ტ. 1; Аргун А., „Абхазский Театр“, Сух., 1981; ენც. „საქართველო“, 1997, ტ. 1; Аргун А. Ш. Пачалиа., Сух 1989.

**„ალალე“** – პიესის ავტ. – რ. ინანიშვილი, რეჟ. – ა. (ნუკრი) ქანთარია, მხატ. – თ. როსტომაშვილი, კომპ. – გ. სიხარულიძე, ქორეოგ. – ბ. მონავარდისაშვილი, თელავის თ-რი, პრემიერა – 28. VI. 1987. საკუთარი ნოველების („ჩემი წყალ-ჭალის ხმები“) ინსცენირების მსგავსად, ინანიშვილმა ეს პიესაც რეჟ. ქანთარიას თხოვნით დაწერა. ქანთარია სტუდენტობიდანვე ცდილობდა ქართ. მწერ. ნაწარმოებთა მეშვეობით ეროვ. პრობ-ბის წარმოჩენას, „ალალეც“ ამ ტენდენციის გაგრძელებაა.




სპექტაკლი უაღრესად ცოცხალი და დამაჯერებელი პერსონაჟებით იყო სავსე. რეჟისორისათვის პრიორიტეტული აქაც მსახიობთა ხელოვნებაა. სწორედ მათ მიერ შექმნილი სახეებით საუბრობდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. სცენაზე გაცოცხლებული ინანიშვილის სისხლსავსე, ინდივიდუალობით გამორჩეული, პერსონაჟები ლაღად და ძალდაუტანებლად დამკვიდრდნენ თელავის თ-რის სცენაზე. სპექტაკლი კომედიური ჟანრის იყო, ტრაგიკული ფინალით. მთ. გმირის ალალეს-იანტბელიძის მიერ ერთგვარი ხუმრობით წამოწყებული თამაში, გასართობი და სალაღობო სანახაობა, მისი დაღუპვით მთავრდებოდა; ეს კი წარმოაჩენდა იმ მანკიერებებს, რ-ებიც მის საარსებო გარემოსა და მახლობელი ადამიანების სულებში იყო ჩასახლებული და ხელსაყრელ ჟამს ელოდა სამზეოზე გამოსასვლელად. შესანიშნავ სახეებს ქმნიდნენ მთ. გმირის – ალალეს შემსრულებელი ვ. იანტბელიძე, ზ. ანთელავა (აბრამი), ნ. არავიაშვილი (დარო), ვ. ფეიქრიშვილი (წეწიკო-მაშო), თ. ხუნაშვილი (დოლრიელა დათა) და სხვ. სპექტაკლი XX ს. 80-იანი წლების II ნახევრის თეატრ. ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა და არა ერთი პრემიით იქნა დაჯილდოებული.

1988 ივლისში თბილისში ჩატარებულ საქალაქო და რაიონული თ-რების II რესპუბლიკურ ფესტივალზე პრემია საუკ. სპექ-თვის მიენიჭა „ალალეს“. ასევე ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი“ წლის საუკ. წარმოდგენისათვის პრემია გადაეცა „ალალეს“ რეჟ. ქანთარიას, წლის საუკ. როლად კი აღიარებულ იქნა იანტბელიძის ალალე.

***ლიტ.:*** მალაღურია გ., თეატრი იძენს დრამატურგს: რ. ინანიშვილის „ალალე“ თელავის თეატრში, „სხ“, 1987, №9; მანიჟაშვილი ი., რევაზ ინანიშვილის დრამატული პიესა „ალალე“ და მისი მხატვრული ხორცშესხმა სცენაზე, ჟურ. „პირველი სხივი“ 1998, № 27.

***თხზ.:*** მსახიობის მოგონება, თბ., 1975.

***ლიტ.:*** ურუშაძე ნ., ცაცა ამირეჯიბი , თბ., 1958; გაჩეჩილაძე ა., ცაცა ამირეჯიბი, „თმ“ 1977, №1; „სთ“, 2009, გვ. 27.

**ა რ ჩ ვ ა ძ ე** თენგიზ გრიგოლის ძე (3. VIII. 1932, თბილისი) – მსახიობი, საქ. დამს. არტ. (1967), საქ. სახ. არტ. (1979), სსრკ სახელმწ. (1981) და რუსთაველის სახ. (1985) პრ. ლაურეატი.

ბავშვობიდანვე მონაწილეობდა **მაეს** დრამ. წრეში, სადაც არა ერთი, შემდგომში გამოჩენილი ხელოვანი აღიზარდა. 1956 დაამთავრა **სსთი** ფაკ-ტი (პედაგოგები: ლ. იოსელიანი, ა. ხორავა, ა. ვასაძე) და უმალ მარჯანიშვილის თ-რში მიიწვიეს. 1956-67 მარჯანიშვილის თ-რის, 1967-72 რუსთავის, ხოლო 1972-დან კვლავ მარჯანიშვილის თ-რის მსახიობია. I მნიშვნელოვანი როლი იყო მუსა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“. უკვე აქ გამოჩნდა მსახიობის ნიჭი, მისი შემოქმედებითი ბუნების ძირითადი თავისებურებანი. შესანიშნავი გარეგნობა, შინაგანი კულტურა, მეტყველი ნაკვთები, ძუნწი გამომსახველობითი ხერხები, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიცია, შინაგანი ძალა მის ყველა გმირს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს. ა. ყოველთვის სწორად ხსნის გმირის შინაგან ბუნებას, დიდი სიმართლით წარმოადგენს ყველა როლს, იქნება ეს ცხოვრების ფსკერზე მოხვედრილი ბარონი (გორკის „ფსკერზე“), რ-საც აქაც არ დაუკარგავს კეთილშობილება და სიამაყე, ტრაგიკული ბედის ჯოუ პინი (ცაო იუნის „ტაიფუნი“), შეყვარებული პოეტი ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილი (ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), გულგრილი, უდარდელი მილიონერი ჯილბერტ გრიფიტი (დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია“) თუ სხვ. გმირის ხასიათში ღრმა წვდომამ, გარეგნულმა მონაცემებმა და შინაგანმა კულტურამ განაპირობა სერ რიჩარდ რატკლიფის (შექსპირის „რიჩარდ III“) ეპიზოდური, მაგრამ შთამბეჭდავი სახის შექმნა. ამ პერიოდის როლებიდან აღსანიშნავია ბრიტანუსი (შოუს „კეისარი და კლეოპატრა“), ანატოლი ( დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“), ჰალენი (სმიტისა და დუგლასის „გადაჯაჭვულნი“), მიხეილ იაროვოი (ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია“), კორნელი (ჩაპეკის „დედა“), დათო (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“) და სხვ.



1967 სხვა ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად, ტოვებს მარჯანიშვილის თ-რს და რუსთავში მიდის. აქ მათ, რეჟ. გ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, ახალი თ-რი ჩამოაყალიბეს. **ა** -ემ ბრწყინვალედ შეასრულა ვასკა პეპელის როლი (გორკის „ფსკერზე“, მისი სიყვარული, ადამიანური სითბო თავისებური სხივით ანათებდა ფსკერის წყვდიადს), მსახიობი ( სკოვრინსკის პიესაში „მაესტრო“).. **ა** ქმნიდა სპექტაკლის საერთო განწყობილებას და ჭეშმარიტ ტრაგიკულ სიძლიერეს აღწევდა. 1971 უნგრეთის დრამატურგიის ფესტივალზე თეატრმა წარადგინა კატინას პიესა „ბან-ბანი“, სადაც მოხეტიალე ავანტიურისტი რაინდის ბიბარახის შესანიშნავი სახე განახორციელა.

1972-დან **ა**. კვლავ მარჯანიშვილის თ-რს უბრუნდება, უკვე როგორც აღიარებული ოსტატი, ხალხის საყვარელი მსახიობი. იგი ქმნის ისეთ მნიშვნელოვან, საინტერესო სახეებს, როგორიცაა ველიკატოვი (ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“,), ოთარ ნიჟარაძე (ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“), მეფე ალექსანდრე (გოთუას „გმირთა ვარამი“), ჩიჩერინი (შატროვის „30 აგვისტო“) და სხვ. მსახიობის დიდი ოსტატობა სრულად წარმოჩინდა ისეთი რთული როლების შესრულებისას, როგორიცაა რასპუტინი (ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), ალფრედ ილი (დიურენმატის „მილიონერის ვიზიტი“), ოთარი (ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“). თითოეული მათგანის შინაგანი ბუნება, განცდები, ხასიათი მსახიობმა განასახიერა მისთვის დამახასიათებელი ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით, სიმართლით, გულწრფელობით. მსახიობის პოზიცია, მისი დამოკიდებულება გმირისადმი ნათლად ჩანს ყველა როლში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია მისი „ავტორი“ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით განხორციელებულ სპექტაკლში „ასი წლის წინათ“. აქ გამოიკვეთა ყველაზე ნათლად მსახიობი-მოქალაქე, მისი მამულიშვილური და ზნეობრივი თვისებები.

**ა**-მ ბრწყინვალე სახეები შექმნა კინოში: „კეთილი ადამიანები“ (1961), „ხევსურული ბალადა“ (1965), „ვედრება“ (1967), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1969-70), „დათა თუთაშხია“ (1978) და სხვ.

**ა**. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1978).

***თხზ.:*** თენგიზ არჩვაძის მონოლოგი. გაზ. „ქართული თეატრის დღე“, 2013.

***ლიტ.:*** „ქსე“ ტ. I, 1975; ხოსიტაშვილი მ. თენგიზ არჩვაძე, ჟურ., „თ. და ცხ“, 1975, №6, ხეტეშვილი ს., თენგიზ არჩვაძე, თბ. 1979; შალუტაშვილი ნ., აზრი ნათელი, სული ქართული (60 წლის თ. არჩვაძე), „თ. და ცხ“, 1992, №5 „თენგიზ არჩვაძე“, „კრ. შემდგ. ე. წეროძე, თბ. 2008. ენც. „თბილისი“, 2002. არჩვაძე ნ., ის ერთი სიმღერა მხოლოდ მე და მამას უნდა დაგვრჩეს, ჟურ. „სარკე“, 2011, № 7; ბაქრაძე ე., თოვლის ფიფქში გამხელილი მზე. ჟურ. „გზაჯვარედინი“, 2015, №3.

ჭადრაკი



# ქართველი მოჭადრაკეები ლიდერებს დაშორდნენ

**აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადის ბოლოსწინა მე-10 ტური წარუმატებელი გამოდგა ქართული გუნდებისთვის. როგორც კაცთა, ასევე ქალთა ნაკრებებმა მარცხი განიცადეს.**

ქართველი ვაჟები ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში მე-2 განთესვის მქონე აშშ-ს დაუპირისპირდნენ და 1.5:2.5 დამარცხდნენ. აღსანიშნავია მიხეილ მჭედლიშვილის (2609) შავი ფიგურებით გამარჯვება ჰიკარუ ნაკამურასთან (2789). ჩინებულ ფორმაში მყოფი ბაადურ ჯობავა (2665) თეთრებით ფაბიანო კარუანას (2808) დაუზავდა, ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებს კი მარცხი შეემთხვათ: ლევან ფანცულაიამ (2601) ვესლი სოსთან (2782) წააგო, ხოლო თორნიკე სანიკიძემ (2497) — სამუელ შანკლანდთან (2679).

საქართველოს ნაკრებს 14 ქულა დარჩა და მე-11 ადგილამდე დაქვეითდა. 18-18 ქულით აშშ და უკრაინა ლიდერობენ, 16 ქულა აქვს რუსეთს, შემდეგ კი 15-15 ქულით კანადა, ინდოეთი, ნორვეგია, სლოვენია, ინგლისი, პერუ და იტალია მოდიან. დასკვნით მე-11 ტურში ქართველი მოჭადრაკეები თურქებს ეთამაშებიან.

სამწუხაროდ, ლიდერთა ჯგუფს კიდევ უფრო დაშორდა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელიც ოლიმპიადის ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებოდა, თუმცა, ბოლო ტურის წინ 13 ქულით მე-16 პოზიციაზე იმყოფება.

გასულ ტურში საქართველოს ნაკრებმა რუსეთთან პრინციპული დაპირისპირება 1.5:2.5 წააგო. წარმატებას მხოლოდ ნინო ბაციაშვილმა (2474) მიაღწია, რომელმაც ოლგა გირია (2452) დაამარცხა. ნანა ძაგნიძე (2522) ალექსანდრა კოსტენიუკთან (2538) დამარცხდა, ლელა ჯავახიშვილი (2486) — ვალენტინა გუნინასთან (2520), ბელა ხოტენაშვილი (2463) კი ალექსანდრა გორიაჩკინას (2475) დაუზავდა.

10 ტურის თავზე ჩემპიონობასთან ძალიან ახლოსაა ჩინეთის ნაკრები, რომლის აქტივშიც 18 ქულაა. 16 ქულა აქვს რუსეთს, 15-15 ქულა მოაგროვეს პოლონეთმა, უკრაინამ, ინდოეთმა, უნგრეთმა, აშშ-მ და ბულგარეთმა.

მე-11 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ავსტრიას შეხვდება.

**ბადრი იაშვილი**

ლეგიონერი



# სანაძე კარიერას სლოვენიაში გააგრძელებს

**საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების წევრი დუდა სანაძე კარიერას სლოვენიურ „ლასტოვკაში" გააგრძელებს. ამ ინფორმაციას Eurobasket.com ავრცელებს.**

როგორც ირკვევა, 24 წლის ქართველმა მცველმა „მერცხლებთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და დომჟალეში 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ დუდამ ბოლო სამი წელი NKAA-ში გაატარა და „სან დიეგოს" ღირსებას იცავდა. გასულ სეზონში მისი საშუალო მონაგარი 12.5 ქულა, 4.0 მოხსნა და 1.1 პასი იყო.

სლოვენიის საკალათბურთო ჩემპიონატი სტარტს 8 ოქტომბერს აიღებს, „ლასტოვკას" პირველი მეტოქე კი „კასტინგსი" იქნება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

თაოგა

# მეზობლები დავიბრიყვეთ

**19-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი თამაში მოიგო. გელა ტუკვაძის გუნდმა აზერბაიჯანელ თანატოლებს 26:3 სძლია!**



ევროპის ჩემპიონატს 19-წლამდელთა შორის ჰოლანდია, დაბა ალფენ აან დე რიინი მასპინძლობს. B ჯგუფის პირველ ტურში საქართველოს ნაკრები ხორვატეთთან 6:13 დამარცხდა.

მისი მორიგი მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება, რომელმაც თავის მხრივ ხორვატეთს 13:12 აჯობა.

შეგახსენებთ: ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე საქართველოს 19-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრები მასპინძელ თანატოლებს ამხანაგურად ეთამაშა და მატჩი ფრედ 13:13 დასრულდა. ქართველთაგან გოლები ანდრია ბითაძემ (3), ვაჟა ფურცელაძემ, ნიკოლოზ შუშიშვილმა, გიორგი მაგრაქველიძემ, თედო შავშიშვილმა (ოთხივემ 2-2), რევაზ იმნაიშვილმა და ლევან მოსაშვილმა გაიტანეს.

**გუშინ: საქართველო-რუსეთი — 11:16.**

**მანუჩარ გიორგაძე.**

ელიტაში

# კერბერი საუკეთესოა

**დღეიდან მსოფლიოს ახალი ნომერ პირველი ჩოგბურთელი ჰყავს, ეს გერმანელი ანგელიკა კერბერია, რომელმაც ეს სტატუსი სერენა უილიამსს ჩამოართვა. სერენა მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი 186 კვირის განმავლობაში იყო, ანუ იმდენივე, რამდენიც შტეფი გრაფი.**



კერბერმა უილიამსს რეიტინგში სოლიდური სხვაობით 1700 ქულით გაუსწრო.

*1. ანგელიკა კერბერი — 8730 ქულა, 2. სერენა უილიამსი — 7050, 3. გარბინე მუგურუზა — 5830, 4. აგნეშკა რადვანსკა — 5815, 5. სიმონა ჰალეპი — 4801, 6. კაროლინა პლიშკოვა — 4425, 7. ვინუს უილიამსი — 3815, 8. კარლა სუარეს-ნავარო — 3330, 9. მედისონ კიზი — 3286, 10. სვეტლანა კუზნეცოვა — 3250.*

**კობა კობახიძე**

უზერებელი

# ფრანჩესკო ტოტის მორიგი რეკორდი

**იტალიური „რომას" ლეგენდარული თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი სერია A-ს ისტორიაში კიდევ ერთი მიღწევით ჩაეწერა. საქმე ისაა, რომ 40-ს მიტანებულმა ჩესკომ გენუის „სამპდორიას" კარი აიღო, ეს კი მისთვის ზედიზედ 23-ე სეზონია იტალიის ჩემპიონატში, რომელშიც მან გოლის გატანა მოახერხა (ჯამში 249). ასეთი შედეგი კი აქამდე არცერთ ფეხბურთელს არ ჰქონია.**



საერთოდ, ტოტის მსგავსი რაოდენობის წლები იტალიის მთავარ საფეხბურთო ლიგაში ერთადერთ ფეხბურთელს აქვს გატარებული — „მილანის" არანაკლებ სახელოვან კაპიტან პაოლო მალდინის. ორივეს იტალიის ჩემპიონატში 25-25 სეზონი აქვთ ნათამაშები. აღსანიშნავია ისიც, რომ ტოტიმ სერია A-ში ჩატარებულ ბოლო რვა მატჩში 5 ბურთის გატანა და 3 საგოლე გადაცემის შესრულება შეძლო.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ნერეიდამ მსოფლიო დაიპყრო

**წარსულში დარჩა ის ჟამი, როდესაც დიდებული ესპანელ მოდელს ნერეიდა გალიარდოს კრიშტიანუ რონალდუზე აბოდებდა და თვალზე ცრემლმომდგარი იხსენებდა იმ დროს, როდესაც პორტუგალიელ სუპერმეგოლესთან ერთად ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მოძრაობებს ასრულებდა.**



ნერეიდა ახლა ერთობ წარმატებული და დაფასებული მოდელია და მასზე ყველა ჯურისა და გემოვნების მამაკაცი ოცნებობს. მავანნი კი იძახიან, ნერეიდა გალიარდოს პოპულარობის სათავე ისევ და ისევ ამ ქალის კრიშტიანუსთან ხვანცალი იყოო, მაგრამ ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?!...

რამდენიმე დღის წინათ ნერეიდა გალიარდომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი გული დაკავებულია და სულ მალე მზის შუქზე წარმოაჩენს თავის ახალ გულისსწორს. ამ ამბავს ნერეიდას მამრობითი სქესის მრავალი ფანი დარდიანი ბგერებით შეხვდა. რას ვიზამთ, ასეთ ქალს ისე აბა ვინ გააჩერებს?...

**როსტომ რაჭველიშვილი**

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის"
№ 01-3/294 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი № 1 | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | **245444844** |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზალამების მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები"-ს I-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 21 254 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზალამები. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 700 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 370 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის"
№ 01-3/290 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი № 1 | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზალამების მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები"-ს მე-II-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 21 254 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზალამები. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 700 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 370 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის“
№ 01-3/292 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. მაჭახლისპირის მიმდებარე ტერიტორია, ,,ინერტული მასალის (ქვიშა-ხრეში) ტექნოგენური დანაგროვები’’-ს I-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 28 860 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჭახლისპირი. |
| | ადგილმდებარეობა | |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 020 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 502 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | | |

---

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის“
№ 01-3/296 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. მაჭახლისპირის მიმდებარე ტერიტორია, ,,ინერტული მასალის (ქვიშა-ხრეში) ტექნოგენური დანაგროვები’’-ს მე-II-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 28 860 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჭახლისპირი. |
| | ადგილმდებარეობა | |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 020 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 502 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | | |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის“
№ 01-3/291 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები”-ს I-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 25 843 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 495 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 449,5 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 600 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის“
№ 01-3/295 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები”-ს მე-II-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 26 585 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 625 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 462.5 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 700 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 სექტემბრის“
№ 01-3/293 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები”-ს მე-III-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 25 843 $მ^3$) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 495 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 449,5 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 600 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**საქმე №1/75-2016**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ალექსანდრე დანელია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ალექსანდრე დანელიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 14 ნოემბერს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და ალექსანდრე დანელიას შორის დაიდო №111413971 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1050 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ალექსანდრე დანელიას ორჯერ გაეგზავნა მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი საქმის მასალებით წარმოდგენილ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ალექსანდრე დანელიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ალექსანდრე დანელია რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

17. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ალექსანდრე დანელიას (პირადი №01024071804) ეცნობოს, რომ მის

წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

18. ალექსანდრე დანელიას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

19. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

20. მოპასუხე ალექსანდრე დანელიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 5 ოქტომბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ალექსანდრე დანელიას მიმართ.

21. ალექსანდრე დანელიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

22. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

23. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

24. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

საქმე №1/73-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლევან ალანია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 9 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ლევან ალანიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 14 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა" და ლევან ალანიას შორის დაიდო №021250514 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 2150 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12.04.2012წელი.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო გრაფიკით განსაზღვრული შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლევან ალანიას ორჯერ გაეგზავნა მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი საქმის მასალებით წარმოდგენილ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლევან ალანიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ლევან ალანია რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლევან ალანიას (პირადი №62009000974) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. ლევან ალანიას განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ლევან ალანიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 5 ოქტომბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ლევან ალანიას მიმართ.
5. ლევან ალანიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

საქმე №1/74-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლევან ალანია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 9 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ლევან ალანიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 8 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა" და ლევან ალანიას შორის დაიდო №021210514 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 2700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 08.04.2012წელი.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო გრაფიკით განსაზღვრული შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლევან ალანიას ორჯერ გაეგზავნა მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი საქმის მასალებით წარმოდგენილ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლევან ალანიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ლევან ალანია რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლევან ალანიას (პირადი №62009000974) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
10. ლევან ალანიას განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
12. მოპასუხე ლევან ალანიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 5 ოქტომბერს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ლევან ალანიას მიმართ.
13. ლევან ალანიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

# ურთულესი პრობლემა ბოლომდე მოწესრიგდება

## პროკურატურის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული 13 ავტომანქანა, 5 კვადროციკლი და 2 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდათ



**საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 13 ავტომანქანა, 5 კვადროციკლი და 2 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდებათ.**

დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტი. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 22 ივლისს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ყალბი დოკუმენტის დამზადებისთვის დააკავეს მოქალაქე ვაჟა ციგროშვილი.

პროკურატურის ცნობით, გამოძიების მსვლელობისას, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა პატიმრობაში მყოფ ვაჟა ციგროშვილს შეუთვალეს, რომ თუ მას სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება და საპატიმროს დატოვება, სახელმწიფოსთვის უნდა შეეძინა ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების ავტომანქანები და კვადროციკლები, რაც არ უნდა გახმაურებულიყო და ეს პირობა დარჩენილიყო საპროცესო შეთანხმების „ჩრდილოვან მხარედ“, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევდა ციხეში ყოფნა.

არნახული ზეწოლის შედეგად, ვაჟა ციგროშვილი იძულებული გახდა დათანხმებოდა კუდის უკანონო მოთხოვნას, რის შემდეგაც მას №8 საპყრობილეში, ციხის უფროსის კაბინეტში კონსპირაციულად შეახვედრეს მისი ცოლისძმა ნოშრევან ნეკრესელაშვილი, რომელსაც ავტომანქანების შესაძენად თანხის მოძიება დაევალა. კუდის მაღალჩინოსნის მოთხოვნით, ვაჟა ციგროშვილი მანამ დარჩებოდა საპატიმროში, სანამ მისი ოჯახი ავტომანქანების შესაძენად თანხას არ შეაგროვებდა. 2008 წლის აგვისტოში, ბრალდებულის ცოლისძმამ ნოშრევან ნეკრესელაშვილმა მთლიანობაში ნახევარ მილიონ ლარად სახელმწიფოს სასარგებლოდ, კუდის მოთხოვნით იძულებით შეიძინა „ტოიოტა პრადოს“, „ტოიოტა ჰაილუქსის“; „ტოიოტა კამრის“ და „ჰიუნდაი ტუქსონის“ მარკის ავტომანქანები, 5 კვადროციკლი, რომლებიც შემდგომში აჩუქა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მხოლოდ ამის შემდეგ ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, განესაზღვრა პირობითი მსჯავრი და მან დატოვა საპატიმრო დაწესებულება.

2008 წლის მაისში, მოქალაქე ფრიდონ ბარათაშვილმა კერძო კომპანიისგან შეიძინა ქ. ქუთაისში, სულხან-საბას გამზირზე მდებარე 12027,3 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მოგვიანებით ხელისუფლების ინტერესის სფეროში აღმოჩნდა. 2009 წლის ივლისში, ფრიდონ ბარათაშვილი დაიბარეს საქართველოს პროკურატურაში, სადაც მას კატეგორიულად მოსთხოვეს შეძენილი მიწის ნაკვეთიდან 7000 კვ.მ სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა, მიუხედავად იმისა, რომ მას უძრავი ქონება კანონიერად ჰქონდა შეძენილი.

განხორციელებული ზეწოლის შედეგად, დაზარალებულმა ფრიდონ ბარათაშვილმა მისი კუთვნილი 12027,3 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 7000 კვ.მ. მოთხოვნით იძულებით გადააფორმა სახელმწიფოს სახელზე.

2006 წელს დავით კუპატაძემ მისი მეგობრის დახმარებით კერძო პირისგან ნოტარიული წესით შეიძინა ქ. თბილისში, კობარეთის ქუჩის მიმდებარედ 490 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მოგვიანებით ხელისუფლების ინტერესის სფეროში აღმოჩნდა.

2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს დავით კუპატაძე, სადაც მას კატეგორიულად მოსთხოვეს მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დააკავებდნენ და მისცემდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. აღნიშნულ მოთხოვნაზე დავით კუპატაძემ საგამოძიებო ორგანოსგან მოსაფიქრებელი დრო ითხოვა, რა დროსაც ქონების შენარჩუნების მიზნით, მან მიწის ნაკვეთი ესპანელ პარტნიორზე — ფრანცისკო ხაბიერ ფერნანდეს გოირიზე გადააფორმა, თუმცა მიუხედავად ამისა, საგამოძიებო ორგანოდან მის მიმართ მოთხოვნა კვლავ გაგრძელდა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ დაეთმო.

შემაჯამებელი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხსენებულ დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მათი კუთვნილი ქონება: ვაჟა ციგროშვილს 13 ავტომანქანა და 5 კვადროციკლი; ფრიდონ ბარათაშვილს 180 000 ლარად ღირებული ქ. ქუთაისში მდებარე 7000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და დავით კუპატაძეს 240 000 ლარად ღირებული თბილისში მდებარე 490 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მათ მიმართ არ დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

**ამ დროისთვის ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, გახსნილია ქონების იძულებით ჩამორთმევის 44 ფაქტი, მხილებულია 32 საჯარო მოხელე, 7 პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, 23 პირის მიმართ გამოყენებული იქნა დისკრეციული უფლებამოსილება, ხოლო 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება გარდაცვალების გამო. დაზარალებულად ცნობილია 79 მოქალაქე, რომელთაც დაუბრუნდა და დაბრუნების პროცესშია 17 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის 65 ავტომანქანა, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ახალი დეპარტამენტის მიერ 5 მოქალაქის მიმართ მიღებული იქნა გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება და შესაბამისი შუამდგომლობით წარიმართა სააპელაციო სასამართლოში.**

**ჯიმშერ კიკაბიძე**

## სანთელი

ნათესავები და მეგობრები მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილი, ია რჩეულიშვილი, ნუგზარ წერეთელი, ნიკო ლეონიძე, გურამ გეგეშიძე, გურამ ფალავანდიშვილი, თამაზ ბოკერია, ლეონიდ ბეჟვაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, გამოჩენილი მთამსვლელი, აფხაზეთში დაღუპული ახალგაზრდა მსახიობის ლევან აბაშიძის მამა

**გიორგი (აგი) აბაშიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. პანაშვიდი 14 IX, დაკრძალვა 15 IX, თამარაშვილის ქუჩა №21.

---

ნათელა გამყრელიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**ლილი ბანძელაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებს.

---

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი თანამშრომელი

**მაყვალა გოცირიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გახსენება

### თემურ ცხოვრებაშვილი



გასული საუკუნის ქართველ მხატვართა 80-იანელების გამორჩეულ თაობას თემურ ცხოვრებაშვილი უდროოდ, 50 წლის ასაკის მიუღწევლად გამოაკლდა, თუმცა კი მისი ნათელი ხსოვნა დღესაც გულს უთბობს მეგობრებს, დიდებული მხატვრული ტილოები კი დიდი ხანია, თავისი გზით განაგრძობენ ცხოვრებას, როგორც სამშობლოში, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

დღეს, 14 სექტემბერს, თემურ ცხოვრებაშვილის საფლავზე კვლავ შევიკრიბებით მისი ახლობელ-მეგობრები და კიდევ ერთხელ მოვიგონებთ 20 წლის წინათ დაღუპულ ჩვენს ლამაზ, თბილ მეგობარს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# „ჩვენი საქართველოს“ მოშიმშილე წევრი გარდაიცვალა

**პარტია „ჩვენი საქართველოს“ წევრი ოსური დიასპორიდნ ზაზა ლაზაროვი გარდაიცვალა. ის ცესკოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც „ჩვენი საქართველოს“ რეგისტრაციიდან მოიხსნა, შიმშილობით აპროტესტებდა.**



როგორც ლაზაროვის თანაპარტიელები ამბობენ, ლაზაროვი ორი დღის განმავლობაში შიმშილობდა, რის შედეგადაც შეუძლოდ გახდა და გუშინ საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაიცვალა. ამ დროისთვის ზაზა ლაზაროვის გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

2016 წლის 5 ოქტომბერს 14 საათზე ჩატარდება ს.ს. ტრანსკავებსერვისი „ალავერდი“-ს საერთო კრება მისამართზე: რუსთაველის №48

**დღის წესრიგი:**

1. გასული 2015 და მიმდინარე წლის ანგარიში;
2. საორგანიზაციო საკითხები (სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები).

**დირექცია**

**13.09.2016 წ.**

# ოზურგეთი - გურიანთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაიწყო

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში სოფელ ოზურგეთი-გურიანთის საავტომობილო გზის 1 100-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დაიწყო.**

მიმდინარეობს სამუშაოების პირველი ეტაპი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან — ირაკლი ჩხაიძესთან და სოფელ ოზურგეთში გამგებლის წარმომადგენელთან ბადრი თავდუმაძესთან ერთად დაათვალიერა.



„მიმდინარეობს სოფელ ოზურგეთი-გურიანთის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება. პროექტი გარდამავალია. წელს დაიგება გზის 1 100-მეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება. ჯამში მოეწყობა 2 კილომეტრი და 460 მეტრი სიგრძის გზა. გზის რეაბილიტაციის პროცესს მონიტორინგის მიზნით გამგეობის შესაბამისი სამსახურები აკვირდებიან,“ — აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

სოფელ ოზურგეთი-გურიანთის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპის ღირებულება 423 422 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს სოფ.ოზურგეთში თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა დასრულდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყობა მცირე ხიდი და მილხიდი.

განხორციელდება ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები.

გაიწმინდება სანიაღვრე არხები.

ამ დროისთვის, დასრულებულია სასაფლაოს შემოღობვა.

◉ განძი ძველი დიდებისა...

# ნოქალაქევი — ანტიკური მსოფლიოს მარგალიტი

**ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ისტორიულ ძეგლს, ნოქალაქევის მუზეუმსა და ნაკრძალს მალე რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.**

**აღდგენითი სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება. მთლიანობაში, მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის 14 მილიონი ლარი დაიხარჯება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძის განცხადებით, რეკონსტრუქციისთვის საჭირო**



**თანხები ფონდმა „ქართუმ“ პროექტის „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში გამოყო.**

**„20 ჰექტარზე განთავსებული მეფეთა სასახლეები, ტაძარი, სხვადასხვა უძველესი ათასწლეულების ძეგლები იძენენ მეორე სიცოცხლეს. ეს არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი“, —** განაცხადა მიხეილ გიორგაძემ ნოქალაქევში, სადაც ის რეკონსტრუქციის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე, ისტორიული წყაროების თანახმად, ეგრისის სამეფო — დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი მდებარეობდა. მას ციხეგოჯს, იმავე ქუჯის ციხეს უწოდებენ. გადმოცემის მიხედვით, ის ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ ააგო.

ისტორიულ-კულტურული ძეგლის აღდგენის პროექტის ერთ-ერთი ავტორის **დავით ლომიტაშვილის** განცხადებით ნოქალაქევი




არის უნიკალური თავისი არქიტექტურული მნიშვნელობითაც. პროფესორის სიტყვებით, ძველი ქალაქის აღმშენებელი კარგად ფლობდა იმ პერიოდის არქიტექტურის ყველა სტანდარტს, რაც ქალაქის მშენებლობისას გამოყენებულია კიდეც.

**„ამ ქალაქის აღმშენებელი აბსოლუტურად არის ჩართული არქიტექტურასთან დაკავშირებით იმდროინდელ მსოფლიო მიღწევებში. როგორც ჩანს, შესანიშნავად და კარგად იცის ვიტროვიუსის ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ. პირდაპირ რომაული სტანდარტებიც კი გადმოტანილი აქვს და, უმრავლეს შემთხვევაში, ამას წარმატებულად იყენებს. ამ ნაქალაქარს სხვადასხვა სახელები ჰქვია სხვადასხვა წყაროებში: „ციხეგოჯი“, „სამზღუდე“, „არქეოპოლისი“, რომელიც ქართულად ძველ ქალაქად ითარგმნება და, რა თქმა უნდა, ნოქალაქევიც“, —** აცხადებს პროფესორი.

ნოქალაქევის აღდგენის პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა. პრეზენტაციაც სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა **ნიკოლოზ ანთიძემ** ნაკრძალის ტერიტორიაზე გააკეთა.

**„აქაურობას 4 წელიწადში ვერ იცნობთ, თავისი ახალი მუზეუმით, თანამედროვე აღჭურვილობით, სულ სხვანაირი და შეცვლილი გარემოთი, რაც შიგნით იქნება. ერთი ნიუანსი არ იქნება ისტორიული მემკვიდრეობიდან გადახვეული. თუ იქნება ახალი ჩანართები, ეს იქნება მხოლოდ მსუბუქი, ისეთი, რომლის დემონტაჟიც ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი“** — ბრძანა ბატონმა ნიკოლოზმა.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის დაცვისა და გადარჩენის მიზნით, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით კომპანია „საქართველოს მემკვიდრეობამ“ ისტორიული ეგრისის სამეფო დედაქალაქის განვითარების 22 ცალკეული კომპონენტისგან შემდგარი საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა.

**თამარ ზანთარაია**

---


## განცხადება

**იყიდება** უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

**იყიდება** დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.


# ქართული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა ჩინეთში აღინიშნა

**ღვინის ექსპორტის მონაცემებში საექსპორტო ქვეყნების სამეულში უკვე ძალიან მყარად იკავებს ადგილს ჩინეთი. ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გამოაქვეყნა მონაცემები 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, რომლის თანახმადაც, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში 28 მილიონ 156 ათასი ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც შარშანდელ ანალოგიურ მონაცემებს 42 %-ით აღემატება.**

თუმცა სტატისტიკა იმასაც მოწმობს, რომ ექსპორტირებული ღვინის ღირებულება შემცირებულია. კერძოდ, 42 %-იანი რაოდენობრივი ზრდის პირობებში, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 64,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16 %-ით მეტია შარშანდელ ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.



როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. კერძოდ, ჩინეთში გაიზარდა 184 %-ით, უკრაინაში — 75 %-ით, ბელორუსში — 47 %-ით, რუსეთში — 45 %-ით, პოლონეთში — 34%-ით, ესტონეთში — 39 %-ით, ყირგიზეთში — 107 %-ით, აშშ-ში — 10 %-ით, იაპონიაში — 12 %-ით, დიდ ბრიტანეთში — 65 %-ით, ლატვიაში — 9 %-ით და სხვა.

მიმდინარე წლის აგვისტოში ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული კი ასე გამოიყურება: რუსეთი — 14 664 610 ბოთლი, ჩინეთი — 3368 361, უკრაინა — 3 042 192, ყაზახეთი — 2 287 826 და პოლონეთი — 1 367 960.

როგორც ღვინის სააგენტოში აღნიშნავენ, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4 მილიონ 805 ათასამდე ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 31 %-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 11,03 მლნ აშშ დოლარის ღირებულების — ზრდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12 %-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 108,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 8 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 82 მლნ აშშ დოლარი იყო.

**ნინო ევგენიძე**


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3141; ევრო - 2.5967;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0687;
100 რუბლი - 3.5462; თურქული ლირა - 0.7740;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4102;
1000 სომხური დრამი - 4.8718.

**ამინდი 14 სექტემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +6, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +29 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +29 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE